



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნიკა ხოხაშვილი

საინვესტიციო პროცესის თავისებურებები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საჯარო მმართველობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
პროფ. ნინო ლიპარტელიანი

გორი
2021

ა ნ ო ტ ა ც ი ა

საინვესტიციო პროცესის თავისებურებები საქართველოში

ნ.ხობაშვილი

ჩვენ მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი საინვესტიციო პროცესის თავისებურებები საქართველოში შეეხება საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიებს საქართველოში. ჩვენი მიზანი გახლდათ შეგვესწავლა ქართული ეკონომიკის საინვესტიციო პრიორიტეტები, საინვესტიციო აქტივობისა და მიმზიდველობის მაჩვენებელთა ერთობლიობა საქართველოში. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ საკვლევი თემა აქტუალურად მიმაჩნია. ჩატარებული კვლევის ამოცანაა ჩვენება იმისა, რომ აუცილებელია სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობის გაზრდა და ინვესტიციების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა, ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიდრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო. ჩატარებული კვლევის საგნია მსხილი საინვესტიციო პროექტების, რეგიონალური საინვესტიციო აქტივობის და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზი. კვლევის ობიექტია საქართველოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ძირითად შედეგად ვამტკიცებთ მას, რომ ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიდრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის სიახლე გახლავთ ჩვენება იმისა, რომ ქვეყანაში თვალნათელია საინვესტიციო პოლიტიკის ეფექტურობა, მაგრამ აუცილებელია რეგიონული ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების საინვესტიციო მექანიზმების ჩამოყალიბება, საინვესტიციო პროცესების ფორმირების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტების კვლევების შედეგების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

A n n o t a t i o n

Features of the investment process in Georgia

N. Khokhashvili

Our research The specifics of the investment process in Georgia will be focused on the growth trends in investment activity, strategies for attracting foreign direct investment to Georgia. Our goal was to study the investment priorities of the Georgian economy, the combination of investment activity and attractiveness in Georgia. Therefore, I think the research topic is relevant for us. The purpose of the study is to show the need to increase government investment activity and improve mechanisms for financing investments, forecasting, etc. For reasons. The subject of the research is the analysis of large investment projects, regional investment activity and state investment policy. The object of the research is information posted on the official websites of the Ministry of Economy and Infrastructure of Georgia, the Ministry of Finance of Georgia, and the National Statistical Office of Georgia. The main result of our research is that, on the one hand, there is a great need for investment in the face of potential scarcity of resources, on the other hand, there is no more efficient use of investments, the level of inflation, investment and income generation, less in-depth forecasting, etc. reasons. The novelty of our research is the demonstration that the effectiveness of investment policy in the country is obvious, but it is necessary to create investment mechanisms to level regional economic development, to use the results of theoretical, methodological and practical aspects of investment processes in practice.

შინაარსი

საინვესტიციო პროცესის თავისებურებები საქართველოში

შესავალი

თავი I

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი

- 1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისებურებები
- 1.2. გრინფილდ და ბრაუნფილდ ინვესტიციები
- 1.3. მსხვილი საინვესტიციო ფონდები-სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ნაწილი

თავი II

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა პანდემიის პირობებში

- 2.1. ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ფორმირების პრობლემები საქართველო
- 2.2. საინვესტიციო პერსპექტივები მსოფლიო პანდემიის ფონზე

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

შესავალი

ჩვენს მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი „საინვესტიციო პროცესის თავისებურებები საქართველოში“ შეეხება საინვესტიციო აქტივობის ზრდის ტენდენციებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიებს, საქართველოში მოქმედ მსხვილ საინვესტიციო ფონდებს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ქვეყნის და რეგიონის განვითარების შესახებ, ის გამოხატავს უცხოელი ინვესტორების გრძელვადიან დაინტერესებას ქონდეთ ბიზნესი რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში. საქართველო შეგვიძლია დავასახელოთ ასეთ ქვეყნებს შორის, მხოლოდ ამას ორი მნიშვნელოვანი ნეგატიური მახასიათებელი აქვს, პირველი ის, რომ საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ოფშორებიდანაა და მეორე ის, რომ შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი არათანაბრადაა გადანაწილებული.

ბოლო წლებში ხშირად ხდება აპელირება, რომ საქართველოში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა და კიდევ მიმდინარეობს მუშაობა ამ გარემოს მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის, აქედან გამომდინარე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მაჩვენებელი შეგვიძლია გავზომოთ ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის დინამიკის მაჩვენებელი. მაგრამ პრობლემას ქმნის ის ფაქტორი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაში დიდ წილს ქმნის ოფშორებიდან შემოსული ინვესტიციები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ უცხოელი ინვესტორებისათვის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან. პირიქით ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკის დონეზე ფართოდ გავრცელებული ოფშორული სქემები იძლევა შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში არასასურველი ბიზნესგარემოა და რომ ბიზნესუბიექტები ეძებენ საგადასახადო თავშესაფრებს. აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ მაშინ გამოდგება ქვეყანაში საინვესტიციო მიმზიდველობის საზომ ინდიკატორად, თუ ინვესტიციების

საერთო შემოდინებას ქვეყანაში გამოვაკლებთ ოფშორებიდან შემოსულ საინვესტიციო მოცულობას. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს სამრეწველო პოლიტიკის განსხვავებული ხედვები, მათ შორის: საწარმოთა კაპიტალდაბანდებების გაზრდისათვის შეიმუშაოს მასტიმულირებელი საფინანსო პოლიტიკა, მხარი დაუჭიროს ინოვაციურ წარმოებას, მოამზადოს ან გადაამზადოს კადრები, და ა.შ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროს ხდება უცხოური კაპიტალის ჩადება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამეწარმეო საქმიანობის ობიექტში. ეკონომიკური ზრდა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების გამოყენების გაფართოებასთან და მათი გამოყენების ეფექტურობასთან, ეს ყველაფერი ქმნის დანაზოგის გაკეთების და საინვესტიციო პროცესების დაწყების პირობებს.

კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

კვლევის პროცესში ჩვენთვის **სასურველ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენდა** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკის მასალები, ასევე ELSEVIER-ის ბაზები: Scopus; Science Direct; Scival Funding (Funding Institutional), საგნობრივი 900-ზე მეტი წამყვანი საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, ონლაინ რესურსები, რომლებზეც მსოფლიო პანდემიის პირობებში უფასოდ ხელმისაწვდომობას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაცია. არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე იძულებული გავხდით გამომეყენებინა მეორადი კვლევა, უკვე გამოქვეყნებული მონაცემების ანალიზი, შევეცადე ეს ინფორმაცია ყოფილიყო ბოლო 5-3 წლის დიაპაზონში, რათა სურათი ყოფილიყო მაქსიმალურად რეალური.

თავი I

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორი

1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თავისებურებები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განმარტებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება პირდაპირი ინვესტიციები“ რომელიც ჩაიდება ეკონომიკის ნებისმიერი დარგის საწარმოში, მხოლოდ არა ინვესტორის სამშობლოში და რომლის მიზანია მოგების მიღება გრძელვადიან პერიოდში. ინვესტორის ამოცანაა მიიღოს ამ უცხოური საწარმოს მართვის უფლება. ითვლება, რომ ინვესტორს, რომელიც ფლობს აქციების 10% შეუძლია მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს სხვა ქვეყანაში განთავსებული საწარმოს მართვის პროცესზე. ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განთავსებულია განვითარებად ქვეყნებში, შეინიშნება ტენდენცია, რომ შედარებით განვითარებული ქვეყნებიც ახერხებენ ინვესტორების როლში გამოსვლას. არსებობს მოდელი, რომლის მიხედვითაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 60% განთავსებულია მომპოვებელ მრეწველობაში, 35% გადამამუშავებელ მრეწველობაში, 6% ნედლეულის წარმოებაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სახით კაპიტალის მთავარი ექსპორტიორები არიან მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება მრავალმხრივ იქნეს შეფასებული. ერთ-ერთი დაბალანსებული მეთოდი შეიძლება იყოს მისი დაყოფა მაკრო და მიკროეკონომიკური მიდგომების საფუძველზე. პირველი გულისხმობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ემპირიულ ანალიზს ეკონომიკის ზრდაზე, ვაჭრობაზე, დასაქმებასა და უმუშევრობაზე, აგრეთვე ხელფასების დინამიკის ცვალებადობაზე დაკვირვებით. ხოლო მიკრო დონეზე კი ინვესტიციები შეიძლება განხილულ იქნეს კონკრეტული საწარმოების დონეზე. ამ შემთხვევაში, ყურადღება ექცევა ინვესტორის

სახსრებით შექმნილი ფილიალების მიერ მასპინძელი ქვეყნის ეკონომიკისათვის განხორციელებული აქტიურობების შედეგებს. აღსანიშნავია, რომ ორივე დონეზე მეცნიერები ვერ თანხმდებიან და სრულიად საპირისპირო მოსაზრებებსა და დაკვირვებებს აყალიბებენ.¹

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპს თან ახლავს გლობალიზაცია, რომელიც აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციების როლს, პარალელურად ხდება კაპიტალის, ტექნოლოგიების და სამუშაო ძალის ინტერნაციონალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია. გლობალიზაციის მასტიმულირებელ ფაქტორებს შორისაა პროგრესი საკომუნიკაციო სფეროში, კულტურული ღირებულებების ცვლა და გათანაბრება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, საერთოსახელმწიფოებრივი კონკურენცია რესურსების ფლობის ჭრილში, მსოფლიო საფონდო და საფინანსო ბაზრების განვითარება და ა.შ. ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფომ შესაძლოა გამოიყენოს სამრეწველო პოლიტიკის განსხვავებული ხედვები, მათ შორის: საწარმოთა კაპიტალდაბანდებების გაზრდისათვის შეიმუშაოს მასტიმულირებელი საფინანსო პოლიტიკა, მხარი დაუჭიროს ინოვაციურ წარმოებას, მოამზადოს ან გადაამზადოს კადრები, საფინანსო და სამრეწველო სექტორებში გაზარდოს კონკურენცია, მოახინოს პრივატიზაცია, შეამციროს სამრეწველო სექტორის სახელმწიფო კონტროლი, მოახდინოს წარმოების ეფექტურობის სტიმულირება და ა.შ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დროს ხდება უცხოური კაპიტალის ჩადება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ სამეწარმეო საქმიანობის ობიექტში. ეკონომიკური ზრდა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დაკავშირებულია წარმოების ფაქტორების გამოყენების გაფართოებასთან და მათი გამოყენების ეფექტურობასთან, ეს ყველაფერი ქმნის დანაზოგის გაკეთების და საინვესტიციო პროცესების დაწყების პირობებს.

¹ https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.10. გადამოწმებულია 10.11.2020

2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო მოცულობა 13%-ით (1,3 ტრილიონი დოლარი) შემცირდა. ეს ტენდენცია დაიწყო 2015 წლიდან და ამ პროცესების გამომწვევ მიზეზად სახელდება აშშ-ს ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ საზღვარგარეთ დაგროვილი კაპიტალია მსხვილმასშტაბიანი რეპატრიაცია² „2016 წელს ნავარაუდები იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირება 10-15%-ით გლობალური ეკონომიკური ვარდნის, ერთობლივი მოთხოვნის კლების და ტრანსნაციონალური კომპანიების მოგების შემცირების გამო. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირება ნავარაუდები იყო როგორც განვითარებულ ისე განვითარებად ქვეყნებში, რაც ასევე შეამცირებდა კომპანიების საერთაშორისო შერწყმა-შთანთქმას და ინვესტიციებს. საშუალოვადიან პერიოდში გლობალური ინვესტიციების ზრდა ნავარაუდები იყო 2017 წლიდან.“³

2018 წლის პირველ ორ კვარტალში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინების მნიშვნელოვან შემცირებას განვითარებულ ქვეყნებში ადრეც ქონდა ადგილი, 2014 წელს და იგი 27%-ით შემცირდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ბევრ განვითარებად სახელმწიფოში საინვესტიციო პროცესები თითქმის გაეჩერდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინება აფრიკის კონტინენტზე თანამედროვე ეტაპზეც გრძელდება, ეს მაჩვენებელი ბოლო წელს 11%-ით გაიზარდა და 46 მილიარდი \$ შეადგინა. რაც განაპირობა ბუნებრივი რესურსების მოპოვება-გადამუშავების და ინფრასტრუქტურული პროცესების განვითარებამ.
- აზიური სამყაროსათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ 4%-ით გაიზარდა;

² იმ პირთა დაბრუნება, მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის, ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. ჩვენ შემთხვევაში საუბარია დაგროვილი კაპიტალის დაბრუნებაზე.


³ <https://openscience.ge/bitstream/1/4/3/B-%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94.pdf>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმდები ქვეყნის ეკონომიკაზე. შორენა ქურდაძე. დისერტაცია. გვ.64. გადამოწმებულია 13.11.2020

- კარიბის ზღვის აუზისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 6%-ით შემცირდა.
- გარდამავლი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2018 წელს აგრძელებდა კლებას, საბოლოოდ 28%-ით შემცირდა (34 მილიარდი \$).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური ნაკადები 2020 წლის I ნახევარში 49%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამ პროცესებზე ბუნებრივია ნეგატიურად იმოქმედა მსოფლიო პანდემიამ და ჩაკეტილმა ეკონომიკამ, ამით გამოწვეულმა რეცესიამ. ვარდნა შეეხო ინვესტიციების ყველა ძირითად ფორმას. ახალი საინვესტიციო პროექტების რიცხვი შემცირდა 37%-ით, ხოლო პროექტების დაფინანსების ტრანსნაციონალური გარიგებები შემცირდა 25%-ით. საინვესტიციო აქტივობის მკვეთრი კლება შეინიშნება განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. აზიის ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორცა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში
(მლნ. აშშ დოლარი)



გრაფიკი 1

წყარო: საქსტატი

ჩინეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება მოხდა 12%-ით, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებელი 81%-ია.

„საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, საქართველოში 2008 წლის მსოფლიო კრიზისის და რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2010-2014 წლებში ინვესტიციები ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2015-2016 წლებში ვარდნა დაიწყო, რასაც 2017 წელს მოჰყვა ინვესტიციების პიკური მაჩვენებელი - ინვესტიციების ოდენობამ თითქმის 2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც საქართველოს ისტორიული მაქსიმუმია (ინვესტიციების აღრიცხვა 1997 წლიდან ხორციელდება) და ძირითადად განაპირობა აზერბაიჯანიდან განხორციელებულმა ინვესტიციამ შაჰ-დენიზის გაზსადენის მაგისტრალის მშენებლობისთვის. 2018 წლიდან ინვესტიციები კვლავ შემცირდა და 2014 წლის მაჩვენებელზე ბევრად ნაკლებ მოცულობასაც მიაღწია. ხოლო, კორონავირუსის ეპოქა ინვესტიციების მაჩვენებელზე კიდევ უფრო უარყოფითად აისახა, 2020 წლის პირველ კვარტალში 42 პროცენტური

ძირითადი პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში 2020 წლის I კვარტალში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2018				სულ	2019*				სულ	2020*
	I	II	III	IV		I	II	III	IV		
სულ	323.5	403.6	367.0	171.0	1 265.2	283.6	209.8	427.4	347.0	1 267.7	165.4
მათ შორის:											
გაერთიანებული სამეფო	77.9	39.3	0.4	61.2	178.8	61.5	-17.5	78.4	125.3	247.8	73.1
აშშ	23.7	27.9	26.1	24.8	102.6	21.0	27.4	24.9	25.8	99.0	28.1
პანამა	17.2	16.9	27.6	13.0	74.6	45.4	16.4	15.6	0.7	78.1	19.6
დანია	12.8	-3.6	7.6	-1.5	15.2	11.0	4.0	14.7	1.0	30.6	11.6
ნიდერლანდი	28.4	75.8	58.3	45.8	208.4	-91.8	56.1	40.4	48.1	52.9	11.2
თურქეთი	-41.3	39.5	55.7	-4.3	49.6	68.1	47.4	43.8	77.2	236.5	11.1
რუსეთი	15.4	22.0	22.6	9.8	69.7	6.3	7.3	23.2	13.7	50.5	10.8
დანარჩენი ქვეყნები	189.4	186.0	168.7	22.2	566.3	162.0	68.7	186.3	55.2	472.2	-0.1

ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2020 წლის III კვარტალში
(მლნ. აშშ დოლარი)

	2018				სულ	2019				სულ	2020*		
	I	II	III	IV		I	II	III	IV		I	II	III
სულ	328.6	406.1	365.4	206.2	1 306.3	313.7	236.6	396.0	364.5	1 310.8	174.7	241.6	302.6
მათ შორის:													
გაერთიანებული სამეფო	79.1	40.1	1.2	62.4	182.8	56.8	-22.4	81.0	121.2	236.6	73.1	58.9	117.7
ნიდერლანდი	30.2	76.2	58.3	45.5	210.2	-78.5	68.9	52.6	57.4	100.4	14.1	56.0	79.3
აშშ	23.8	27.9	26.2	25.8	103.6	21.3	27.0	37.4	25.9	111.5	28.4	20.0	24.2
იაპონია	16.1	-7.1	9.0	-13.2	4.8	18.3	11.9	16.3	-7.0	39.5	8.0	-8.2	15.6
პანამა	17.9	17.3	28.8	13.0	77.0	45.8	17.0	13.4	0.6	76.8	19.6	1.1	14.6
არაბეთის გაერთიანებული ემირატები	4.4	9.9	10.8	5.3	30.5	14.5	2.3	4.3	0.4	21.4	-0.8	-1.9	9.7
ლუქსემბურგი	22.7	0.4	16.4	10.7	50.1	8.2	14.2	19.0	27.4	68.8	9.0	9.9	8.3
თურქეთი	-39.1	40.2	54.4	-5.6	49.9	69.5	51.1	-20.8	75.5	175.3	12.6	31.5	7.8
ჩეხეთი	0.3	80.8	6.0	-11.6	75.5	-11.7	13.5	13.0	2.6	17.4	-3.0	0.0	5.6
რუსეთი	15.4	22.1	22.6	13.6	73.6	6.8	7.3	24.6	15.7	54.5	10.9	3.5	5.3
დანარჩენი ქვეყნები	157.9	98.1	131.7	60.4	448.1	162.8	45.8	155.3	44.7	408.6	2.8	70.7	14.5

კლება დაფიქსირდა. გარდა ნომინალური ციფრებისა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის წილს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წელიწადში ყველაზე არასახარბიელო მაჩვენებელი 2012-2013 წლებში დაფიქსირდა, როდესაც ინვესტიციებმა მშპ-ს 5.8% შეადგინა. 2014 წლიდან ინვესტიციები მშპ-ის 7 მიმართ იზრდება და ყველაზე მაღალ ნიშნულს - 11.4%-ს 2016 წელს და 12%-ს 2017 წელს მიაღწია. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ, ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო, 2015-2016 წლებში დოლარში გამოსახული მშპ შემცირდა და ამან თავის მხრივ ხელი შეუწყო ინვესტიციებთან ფარდობის ზრდას.

ამასთან, 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მშპსთან მიმართებით 7.1% შეადგინა.“⁴

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას ქვეყნის და რეგიონის განვითარების შესახებ, ის გამოხატავს უცხოელი ინვესტორების გრძელვადიან დაინტერესებას ქონდეთ ბიზნესი რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში. საქართველო შეგვიძლია დავასახელოთ ასეთ ქვეყნებს შორის, მხოლოდ ამას ორი მნიშვნელოვანი ნეგატიური მახასიათებელი აქვს, პირველი ის, რომ საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი ოფშორებიდანაა და მეორე ის, რომ შემოსული ინვესტიციების დიდი ნაწილი არათანაბრადაა გადანაწილებული.

„ოფიციალური წყაროები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლების შემდეგ მიზეზებს ასახელებენ: ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო გადავიდა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულები (სასესხო დავალიანების დაფარვა)¹, თუმცა ამ მიზეზების გარდა, შემცირების მთავარი გამომწვევი იყო მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება. შაჰ-დენიზის პროექტის დასრულებამ აზერბაიჯანიდან მიღებული ინვესტიციების თითქმის განახევრება გამოიწვია. იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში ახალი დიდი საინვესტიციო პროექტები აღარ დაწყებულა და ვერც

4
<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.7.
გადამოწმებულია 15.11.2020

ეკონომიკა იზრდება იმ ტემპებით, რომ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა მოახდინოს, შედეგად მივიღეთ ინვესტიციების კლება.“⁵

ბოლო წლებში ხშირად ხდება აპელირება, რომ საქართველოში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოა და კიდევ მიმდინარეობს მუშაობა ამ გარემოს მაქსიმალურად გაუმჯობესებისათვის, აქედან გამომდინარე საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მაჩვენებელი შეგვიძლია გავზომოთ ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებლებთან ერთად, როგორცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის დინამიკის მაჩვენებელი. მაგრამ პრობლემას ქმნის ის ფაქტორი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობაში დიდ წილს ქმნის ოფშორებიდან შემოსული ინვესტიციები, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ უცხოელი ინვესტორებისათვის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებასთან. პირიქით ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკის დონეზე ფართოდ გავრცელებული ოფშორული სქემები იძლევა შთაბეჭდილებას, რომ ქვეყანაში არასასურველი ბიზნესგარემოა და რომ ბიზნესუბიექტები ეძებენ საგადასახადო თავშესაფრებს. აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მხოლოდ მაშინ გამოდგება ქვეყანაში საინვესტიციო მიმზიდველობის საზომ ინდიკატორად, თუ ინვესტიციების საერთო შემოდინებას ქვეყანაში გამოვაკლებთ ოფშორებიდან შემოსულ საინვესტიციო მოცულობას. „ამას ემატება დემოკრატიის, სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისა და ინვესტიციების დაცულობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები². ბოლო პერიოდში საქართველოს საინვესტიციო

5

<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.7.
გადამოწმებულია 15.11.2020

გარემოს განსაკუთრებული ზიანი საერთაშორისო არენაზე მიაყენა იმ ბუნდოვანებამ, რაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის გარშემო განვითარდა. ანაკლიის პორტის მშენებლობის საინვესტიციო ვალდებულება ანაკლიის კონსორციუმმა აიღო და მისი მთავარი პარტნიორი და 42%- იანი წილის მფლობელი ამერიკული კომპანია „კონტი ჯგუფი“ იყო. ანაკლიის პორტი საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობის, უსაფრთხოების და დასავლელ პარტნიორებთან გაღრმავებული ინტეგრაციისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან პროექტს წარმოადგენდა.“⁶

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირების განუყოფელ ნაწილს და მისი განვითარების მთავარ კატალიზატორს. მიუხედავად ამისა ცალკეული ქვეყნების, თუ ეკონომიკის სხვადასხვა დარგების, თუ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენება ავტომატურ შედეგს არ იძლევა, ასევე ეს შედეგები მათ შორის გადანაწილდება არათანაბრად. განვითარებადი ქვეყნებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობა და მისგან მაქსიმალური შედეგის მიღება დამოკიდებულია ამ ქვეყნების სწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე და ე.წ.საერთაშორისო საინვესტიციო არქიტექტურაზე. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იძლევა საშუალებას იმისა, რომ განვითარებადი ქვეყნებს ქონდეთ საერთაშორისო ბაზრებზე და ახალ ტექნოლოგიებზე წვდომა, მოახდინონ საერთაშორისო ინსტიტუტებთან ინტეგრაცია, თამამად განავითარონ იდეები.

6

<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.7. გადამოწმებულია 15.11.2020

ჰორიზონტალური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გულისხმობს ინვესტორის მიერ რეციპიენტ ქვეყანაში სახსრების დაბანდვას მსგავსი ან იმავე ტიპის პროდუქციის საწარმოებლად, რომელსაც ის სამშობლოში აწარმოებს. ამ ტიპის ინვესტიციას მიმართავენ ის კომპანიები, რომელთაც უკვე გაიმყარეს საკუთარი პოზიციები ადგილობრივ ბაზარზე და თავისი იმიჯისა და რეპუტაციის მეშვეობით ახალ ბაზრებზე გასვლა სურთ. ვერტიკალური პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გულისხმობს პროდუქციის წარმოებისადმი ისეთ მიდგომას, როდესაც წარმოების სხვადასხვა ფაქტორები, შესაძლებელია, განთავსებულ იქნეს სხვადასხვა ქვეყანაში. მაგ.: კაპიტალიზაციური წარმოების ნაწილის განლაგება კაპიტალით მდიდარ და შესაბამისად, ამ რესურსთან წვდომის მარტივი შესაძლებლობის მქონე ქვეყანაში/ბაზარზე; შრომა-ინტენსიური ნაწილის-განვითარებად ბაზრებზე გადატანა; მეცნიერება-ტევადი წარმოების-მაღალგანვითარებულ ქვეყნებში და ა.შ.⁷

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული ამოცანაა. ამიტომ ქვეყნების დიდ ნაწილში ახალი მარეგულირებელი კანონების მიღება ხშირად ლიბერალურ მიდგომებს ემყარებოდა, საჭირო პროცედურების გამარტივებას, ბევრმა ქვეყანამ შეცვალა მიდგომები უცხოური კაპიტალის შესვლასთან დაკავშირებით ქვეყნის ფარგლებს შიგნით, გამარტივდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურებიც, ბევრმა სახელმწიფომ ეკონომიკის კონკრეტულ დარგში შესული ინვესტიციებისათვის სპეციალურად საგადასახადო შეღავათებიც შემოიღო. ბოლო წლებში ვითარება რამდენადმე შეიცვალა, მიღებულ იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები ქვეყნების საინვესტიციო პოლიტიკაში, რადგან ეს ურთერთობები მგრძობიარეა ასეთი პროცესების მიმართ. მხოლოდ 2018 წელს მსოფლიოს 55 ქვეყანამ მიიღო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგულირებელი 112 კანონი. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ბოლო

⁷ https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.10. გადამოწმებულია 10.11.2020

ოცწლეულში, მათი დიდი უმრავლესობა შეეხებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახალ შეზღუდვებს და განპირობებული იყო ეროვნული უსაფრთხოებით, ან უცხოელ ინვესტორებზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ობიექტების, მნიშვნელოვანი ტექნოლოგიების და სხვა ბიზნეს-აქტივების მიყიდვით. გარდა ამისა მხოლოდ 2018 დაბლოკილი ან ანულირებულ იქნა 22 მსხვილი საინვესტიციო გარიგება, რაც 2-ჯერ მეტის 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. მიუხადავად ამისა საერთაშორისო საინვესტიციო პოლიტიკა დინამიურად ვითარდება, ბოლო წლებში ამ პროცესებში აქტიურად ჩართულმა ქვეყნებმა ხელი მოაწერეს 40 საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებას, რომელთა შორისაა რამოდენიმე მეგარეგიონალური პროექტი.

1.2. გრინფილდ და ბრაუნფილდ ინვესტიციები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაში. მათ მიეკუთვნება როგორც ინვესტორის მიერ საკუთრების თავდაპირველი შეძენა, ასევე ყველა თანმდევი გარიგებები ინვესტორსა და იმ საწარმოს შორის, სადაც ინვესტირებული კაპიტალი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითად ფორმად წარმოგვიდგება საზღვარგარეთ საწარმოს გახსნა, შვილობილი კომპანიის შექმნა ან ფილიალის გახსნა, ერთობლივი საწარმოს შექმნა, კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენა და ა.შ. კაპიტალის ექსპორტის მთავარი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია. მიმღები ქვეყნისათვის ესაა დამატებითი რესურსის მიღება, დამატებითი კაპიტალი, ტექნოლოგიები, მმართველობითი გამოცდილება, კვალიფიციური კადრი. აქედან გამომდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ახდენენ ეროვნული ეკონომიკის სტიმულირებას, ზრდიან წარმოების მასშტაბებს და იწვევენ ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას.

„გრინფილდ-ინვესტიცია“ არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისეთი ფორმა, რომელიც საზღვარგარეთ ახალი საწარმოს ნულიდან შექმნის ან/და უკვე

არსებულის გაფართოების მიზნით ხორციელდება. ასეთი ტიპის ინვესტიციებს, ძირითადად, დიდი საერთაშორისო კორპორაციები მიმართავენ და თავიანთ გადაწყვეტილებებს ადგილობრვ მთავრობებს, ლოკალური სამუშაო ძალის აქტიური ჩართვით აწონებენ. გრინფილდ ინვესტიციების სხვა საინტერესო ელემენტებია: ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კვალიფიციური კადრების მომზადება, ახალი ბაზრების ათვისება და (უმეტეს შემთხვევაში) ექსპორტის ზრდა. თუმცა, მეორე მხრივ, ასეთი ტიპის ინვესტიციებს გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვთ, რაც გამოიხატება იმავე დარგში მოღვაწე ადგილობრივი მცირე მეწარმეების შესაძლო „განადგურებით“, ძლიერი კონკურენციის ფონზე. ინვესტიციის მიმღები ქვეყნების/ეკონომიკების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისინი გრინფილდ ინვესტორებს სხვადასხვა შედეგათიან პირობებს სთავაზობენ: მოქნილი საგადასახო პირობები, სუბსიდიები, გარკვეულ რესურსებთან წვდომა და ა.შ.“⁸

ახალი საწარმოების მშენებლობის სტრატეგიამ, ანუ საწარმო ნულიდან მიიღო ეს სახელწოდება სიტყვა „greenfield“-დან, რომელიც მწვანე ველს ნიშნავს და ინგლისურენოვან სიტყვათხმარებაში მას იყენებენ, როგორც მეტაფორას, როცა ახალი საწარმოს მშენებლობა ხდება ხელშეუხებელ ბალახით დაფარულ მინდორზე. დღეს ეს ტერმინები იმდენად პოპულარულია, რომ სხვადასხვა ქვეყნების ნორმატიულ სამართლებრივ დოკუმენტებშიც კი გვხვდება-greenfieldsinvestment. სტრატეგიის თანახმად კომპანია ყიდულობს ან იჯარით იღებს მიწის ნაკვეთს. დგამს მასზე ახალ სამეწარმეო ან სერვის ობიექტებს, ადგილობრივ ქირაობს ან ჩამოყავს მენეჯერები და სხვა დამხმარე პერსონალი და მხოლოდ შემდეგ იწყებს ახალი ობიექტის ექსპლოატაციას. ასეთი ინვესტიციის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სამხრეთ კაროლინა (აშშ) და კომპანია Mercedes-Benz აქ განთავსებული მაკომპლექტებელი სერვისით, ასევე ალაბამა (აშშ) და კომპანია Nissan და ა.შ.

⁸ https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.10. გადამოწმებულია 10.11.2020

„გრინფილდ-ინვესტიცია“ ეს არის ისეთი ინვესტიცია, რომელიც ხორციელდება საზღვარგარეთ ახალი საწარმოს ნულიდან შექმნის ან უკვე არსებულის გაფართოების მიზნით. ასეთ ინვესტიციებს დიდი საერთაშორისო კორპორაციები მიმართავენ და ადგილობრივ მთავრობების მხარდაჭერას იმით მოიპოვებენ, რომ ქმნიან სამუშაო ადგილებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. სუსტად განვითარებული ქვეყნები სთავაზობენ დაბალ საგადასახადო განაკვეთს, სუბსიდიებს, სხვადასხვა რესურსებთან წვდომას და სხვა სახის შეღავათებს, რითაც სტიმულს აძლევენ გრინფილდ ინვესტიციების გამოჩენას ერთი მხრივ, აღნიშნული ამცირებს ეროვნული მთავრობის საგადასახადო შეღავათებს, თუმცა მეორე მხრივ, ამ ქმედებით სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ქვეყანა იღებს ცოდნას, გამოცდილებასა და ტექნოლოგიას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ეროვნულ ეკონომიკაში კვალიფიკაციური კადრების ზრდას. გრინფილდ ინვესტიციების საინტერესო ელემენტებია: ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, კვალიფიციური კადრების მომზადება, ახალი ბაზრების ათვისება და ექსპორტის ზრდა. თუმცა ასეთი ტიპის ინვესტიციების ნაკლოვანება ის არის, რომ ასეთი კომპანიები აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას უფრო იაფად ადგილობრივი ფირმები კი ვერ უწევენ კონკურენციას და ეთიშებიან ბაზარს, გარდა ამისა წარმოებიდან მიღებული მოგებით მასპირნძელი ქვეყანა ვერ სარგებლობს, რადგანაც ეს მოგება გაედინება ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, რომელიც ინვესტირებას ახდენს.“⁹

ახალი საწარმოების მშენებლობის სტრატეგიას რიგი უპირატესობები აქვს. პირველ რიგში კომპანიას აქვს უფლება აირჩიოს შეთავაზებული ლოკაციებიდან მისთვის საუკეთესო, ასევე ააშენოს საუკეთესოდ და აღჭურვოს თანამედროვე ტექნოლოგიებით. ასეთი საწარმოების აშენება ქმნის დამატებით სამუშაო ადგილებს, ამიტომ ინვესტიციის მიმღებ ქვეყნები ყოველთვის არჩევენ ასეთი ტიპის ურთიერთობებს. ამის გარდა ასე შექმნილი კომპანიები საერთაშორისო ბაზარზე

⁹ <https://openscience.ge/bitstream/1/629/1/samagistro%20barbaqadze%20viqtorija.pdf>

ინვესტიციების როლი ეკონომიკის განვითარებაში. ვიქტორია ბარბაქაძე. დისერტაცია. გვ.27.
გადამოწმებული 17.12.2020

საქმიანობას იწყებენ სუფთა ფურცლიდან. მენეჯერთა გუნდს არ უწევს პასუხისმგებლობის აღება არსებული ფინანსური ვალდებულებების გამო, არ უწევთ იმაზე ფიქრი, როგორ მოახდინონ მოძველებული მოწყობილობების მოდერნიზება, როგორ გადაიყვანონ კომპანიის მართვა ახალ მენეჯმენტზე და ა.შ. გარდა ამისა კომპანია ნელ-ნელა ახდენს ნაციონალურ კულტურასთან ადაპტაციას.

„ე.წ. გრინფილდ (Greenfield) ინფრასტრუქტურული წილობრივი ინვესტიციები, კერძოდ კი ინვესტიციები საზღვაო სატვირთვო პორტ(ებ)ის (ფოთი და/ან ბათუმი) დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნაში. გრინფილდ წილობრივი ინვესტიცია ნიშნავს ახალი საოპერაციო ინფრასტრუქტურული აქტივების დაფინანსებას. გლობალურად ამ სფეროში IRR უტოლდება 17%-ს.“¹⁰

რაც შეეხება გრინფილდ სტრატეგიის ნაკლოვანებებს ჩვენთვის შემოთავაზებული ლოკაციებიდან ყველაზე სასურველი დიდი ალბათობით ყველაზე ძვირადღირებულიც შესაძლოა აღმოჩნდეს, ამასთან ერთად ახალი საწარმოს მშენებლობის პროცესი გრძელვადიანი და ამ პროცესის ადგილობრივ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან მორგება მოგვიწევს. გარდა ამისა უცხოური კომპანიის მშენებლობა არაერთგვაროვნად აღიქმება ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან, მაგალითად კომპანია Disney არაერთჯერ შეეჯახა ასეთი ტიპის წინააღმდეგობებს თემატური პარკების მშენებლობის დროს პარიზის დისნეილენდის მშენებლობისას საფრანგეთის მთავრობამ, ხელშეკრულების თანახმად, დიდი მხარდაჭერით გადასცა კომპანიას მიწის გარკვეული მონაკვეთი, მაგრამ კომპანიას პრობლემები შეექმნა ფრანგ მუშებთან, რომელბაც არ მიიღეს შრომის პირობების ამერიკული სტანდარტები.

გრინფილდ ანუ „მწვანე ველის“ ინვესტიცია – არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფორმა, რომლის დროსაც, ინვესტიციები მიემართება საზღვარგარეთ

¹⁰ <https://forbes.ge/blog/695/Amendment-in-the-Tax-Law-of-Georgia-according-to-which-selling-4-apartments-by-individuals-is-not-explicitly-exempted-from-VAT-anymore> საჯარო ფინანსების კერძო პროექტებში ინვესტირების ხიბლი საქართველოში. ირაკლი ლაითაძე. 13.01.2021. გადამოწმებულია 18.01.2021

ახალი საწარმოების შექმნისკენ ან უკვე არსებული ობიექტების გაფართოებისკენ. გრინფილდ ინვესტიციებს ახორციელებენ მსხვილი ტნკ-ბი, რომლებიც შედიან განვითარებადი ქვეყნების ბაზრებზე და იწყებენ იქ ქარხნებისა და მაღაზიების მშენებლობას. მიმღებ ქვეყანაში იქმნება გრძელვადიანი სამუშაო ადგილები. სუსტად განვითარებული ქვეყნები სთავაზობენ დაბალ საგადასახადო განაკვეთს, სუბსიდიებსა და სხვა სახის შეღავათებს, რითაც სტიმულს აძლევენ ქვეყანაში გრინფილდ ინვესტიციების გამოჩენას, ერთი მხრივ, აღნიშნული ამცირებს ეროვნული მთავრობის საგადასახადო შემოსავლებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ქმედებით სახელმწიფო ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ქვეყანა იღებს ცოდნას, გამოცდილებასა და ტექნოლოგიას, რაც საბოლოოდ განაპირობებს ეროვნულ ეკონომიკაში კვალიფიციური კადრების ზრდას. თუმცა აღსანიშნავია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღნიშნული ფორმის ნაკლოვანება, ტნკ-ები ხშირად გამოდევნიან ბაზრიდან ადგილობრივ წარმოებას, რამდენადაც ისინი აწარმოებენ საქონელსა და მომსახურებას უფრო იაფად, ხოლო ადგილობრივი ფირმები ვერ უწევენ კონკურენციას, რასაც თან სდევს მათი ბაზრიდან გასვლა. გარდა ამისა, წარმოებიდან მიღებული მოგებით მასპინძელი ქვეყანას ვერ სარგებლობს, რამდენადაც ეს მოგება გაედინება ტნკ-ს ბაზირების ქვეყნებში ანუ ადგილი აქვს მოგების რეპატრირებას.“¹¹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობის გამო ისინი რეგულირდებიან როგორც ნაციონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ნაციონალურ, სახელმწიფო დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება ხდება სახელმწიფო გარანტიების წარდგენით. ამ გარანტიების ფარგლებში ხდება უცხოელი ინვესტორის და მიმღები ქვეყნის ურთიერთინტერესების შესწავლა. ქვეყნების გარკვეულ ნაწილში მოქმედი

¹¹ http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/275290/1/Ekonomika_2012_N11-12.pdf უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ბიზნესის განვითარებაზე. ქრისტინა ჯანჯღავა. ეკონომიკა-ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. #11-12. 2012. გვ.6 გადამოწმებულია 21.11.2020

კანონმდებლობით უცხოელ ინვესტორებს უქმნიან ინვესტიციის მიმღები ქვეყნის ნაციონალურ რეჟიმს, გამორიცხულია უცხოელი ინვესტორის დისკრიმინაცია ადგილობრივებთან შედარებით. ეს ერთგვარი საერთაშორისო სტანდარტია, რაც მუშაობის საუკეთესო პირობებს უქმნის უცხოელ ინვესტორებს. ქვეყნების გარკვეული ნაწილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობ პირობებში დებს პოლიტიკური რისკებისაგან დაცვას და სტიქიური უბედურებებისაგან დაცვას.

„გრინფილდ-ინვესტიციის“ ალტერნატივად შესაძლოა „ბრაუნფილდ-ინვესტიცია“ განვიხილოთ, რომელიც კომპანიის ან მთავრობის მიერ უკვე არსებული საწარმოს შესყიდვას ან/და იჯარით აღებას გულისხმობს, ახალი წარმოების დასაწყებად. ასეთი ინვესტიციის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ადგილობრივი მანქანის მწარმოებელი კომპანიის მიერ (მაგ.: გერმანული BMW), საზღვარგარეთ მოქმედი საბურავების (ფრანგული Michelin) კომპანიის შეძენა.¹² ამ სტრატეგიასაც მთელი რიგი თავისებურებები ახასიათებს, საჭირო პროცესის სწორად მომზადება. მოქმედი კომპანიის შეძენისას მყიდველი იღებს მისი მართვის უფლებას, უფლებას პერსონალზე, ტექნოლოგიებზე, სასაქონლო მარკაზე, მარკეტინგულ ქსელებზე და ა.შ. შეძენილი საწარმოს ყველა რგოლი აგრძელებს ფუნქციონირებას და ინტეგრირებას საერთაშორისო სივრცეში. ეს სტრატეგია მოითხოვს საწარმოო ძალების გაძლიერებას.

„დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის ზრდამ შექმნა მოთხოვნა ყოფილი სამრეწველო საწარმოების „ბრაუნფილდებად“ ქცეული ტერიტორიების ხელახალ გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ტერიტორიები მაინც გამოუყენებელი რჩებოდა 10 – 20 წლის განმავლობაში. საქართველოში, სადაც საცხოვრებელ სახლებზე შედარებით დაბალი საბაზრო მოთხოვნაა, ეს მიტოვებული ტერიტორიები შეიძლება ასეთად დარჩეს ბევრი წლის განმავლობაში.“¹³

¹² https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.10. გადამოწმებულია 10.11.2020

¹³ ყოფილი საწარმოო ტერიტორიები-ბრაუნფილდები თბილისში. კვლევის და ანგარიშის ავტორი ჯონ ბეროლუზი. 2017. გვ.11 გადამოწმებულია 24.11.2020

ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიები სხვა ქვეყნის ადგილობრივ ფირმებს ყიდულობენ მხოლოდ იმისათვის, რომ შევიდნენ ახალ ბაზარზე. მაგალითად ამერიკულმა კომპანიამ Aemtican Eagle Outfitters-მა შეიძინა ახალგაზრდული ტანსაცმლის მაღაზიათა ქსელი Braemar და Thriftys კანადაში და ამით ამ ქვეყანაში შეიძინა 150 სავაჭრო წერტილი, რითაც დროის მცირე მონაკვეთში შეძლო შესულიყო კანადის ბაზრის ფართო სეგმენტზე.

„ყოფილი საწარმოო ტერიტორიების („ბრაუნფილდების“) მკაცრი განსაზღვრება მოიცავს მხოლოდ იმ მიწას, რომელიც წარსულში განვითარებული იყო ან გამოიყენებოდა, მაგრამ ეს განსაზღვრება ხშირად გამორიცხავს მიმდებარე ტერიტორიებს, რომლებიც ასევე გამოუყენებელია მაგრამ არასოდეს ყოფილა განვითარებული, შესაძლოა იმიტომ რომ ისინი „სარეზერვო“ ტერიტორიები იყო საწარმოს სამომავლო გაფართოებისთვის ან ამჟამად მიუწვდომელია, ან მოწყვეტილია მათ წინ ყოფილი სამრეწველო ტერიტორიის არსებობის გამო. შესაძლოა ბევრი მიზეზი არსებობდეს, თუ რატომ არის ასეთი ტერიტორიები ცარიელი ან რატომ არასოდეს ყოფილა ისინი ათვისებული, მაგრამ ისინი შეტანილ უნდა იქნეს „ბრაუნფილდების“ კვლევაში, რადგან სწორედ მათ შეიძლება შეასრულონ გადამწყვეტი როლი „ბრაუნფილდების“ სამომავლო განვითარებაში.“¹⁴

„ბრაუნფილდ-ინვესტიციით“ კომპანიები ხშირად ცდილობენ საკუთარი კომპანიის სტრატეგია რადიკალურად შეცვალონ, მაგალითად არაბეთის გაერთიანებული საემიროების სახელმიწო კომპანიამ Saudi Arabian Oil-ს სურვილი ქონდა ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული ნედლი ნავთობის მოპოვებაზე, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება შეეძინა უმსხვილესი ფილიპინური და კორეული ნავთობ გადამამუშავებელი კომპანია Petron Corporation და Ssagyong Oil Refining Company. ამ სტრატეგიას თავისი ნაკლოვანებებიც აქვს, მყიდველი კომპანია თავის თავზე იღებს ფირმის ყველა მმართველობით ვალდებულებას და ფინასურ ვალდებულებებს. მაგალითად თუ შექმნილ ფირმაში არასახარბიელო შრომითი ურთიერთობებია, თუ

¹⁴ წყარო: იგივე. გვ.20

არსებულმა ფირმამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებით, მყიდველი თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაჭრას ეს პრობლემები და ამ თანხების დაფარვა მანამდე მოუწევს, ვიდრე შემოსავალს მიირებს ამ საწარმოდან. ზუსტად ასე მოიქცა კომპანია Matsushita, მან ამერიკულ მხარეს გარიგების გაფორმებისთანავე გადაუხადა 6,6 მილიარდი \$ კომპანია MCA-შემენისას.

შეგვიძლია ამ ორი სტრატეგიის უპირატესობების და ნაკლოვანებების შედარებითი მახასიათებლების ცხრილი შევაგინოთ:

<p>Greenfieldsinvestment-ის უპირატესობები</p> <ul style="list-style-type: none"> -ტერიტორია გაძლევს მაქსიმალურ შესაძლებლობებს ნებისმიერი პროექტის განხორციელებისათვის; -ტერიტორიაზე არაა ძველი მშენებლობები და მოძველებული კომუნიკაციები; -ახალი მშენებლობა გვიმცირებს დანახარჯებს ტექნიკურ მომსახურებაზე (ვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს); 	<p>Brownfieldsinvestment-ის უპირატესობები</p> <ul style="list-style-type: none"> -ვიყენებთ არსებულ საქალაქო ინფრასტრუქტურას; -ტერიტორიასთან მოყვანილია ყველა აუცილებელი საინჟინრო კომუნიკაცია; -მარალია სახელმიფო მხარდაჭერის დონე, მათ შორის ფინანსური;
<p>Greenfieldsinvestment-ის ნაკლოვანებები</p> <ul style="list-style-type: none"> -ყველა საჭირო დოკუმენტზე მოლაპარაკებების ხანგრძლივობა; -ტერიტორიის მოწყობის მაღალი ხარჯები; -ახალი საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწყობა; 	<p>Brownfieldsinvestment-ის ნაკლოვანებები</p> <ul style="list-style-type: none"> -მიწის განსაზღვრული ფართი; -დიდი სოციალური პასუხისმგებლობა; -არსებული ობიექტების რეკონსტრუქციის მარალი დანახარჯები; -რეინვესტირების დიდ რისკი

„ე.წ. ბრაუნფილდ (brownfield) ინფრასტრუქტურული წილობრივი ინვესტიციები კიდევ ერთი ეფექტური ინსტრუმენტია. მოგეხსენებათ, რომ ბრაუნფილდ ინვესტიცია ნიშნავს არსებული ინფრასტრუქტურის განახლების, მოდერნიზაციისა და/ან საწარმო მოცულობის ზრდის დაფინანსებას. საქართველოს შემთხვევაში კვლავ საზღვაო სატვირთო პორტ(ებ)ი (ფოთი და/ან ბათუმი) მაქვს მხედველობაში. გლობალურად ამ სექტორში IRR არის 14%. საინტერესოა, რომ გრინფილდ და ბრაუნფილდ

ინფრასტრუქტურაში IRR-ებს შორის სხვაობა არის 3 პროცენტული ბიჯი. ეს არის ბაზრის კომპენსაცია მათთვის, ვინც ახორციელებს ინვესტიციებს გრინფილდ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ბრაუნფილდ საპორტო ინვესტიციების დადებითი მხარეა ის, რომ როგორც წესი, უკვე არსებულ და მოქმედ ინფრასტრუქტურაზე მოზიდული კაპიტალის ღირებულება შედარებით დაბალია. ეს კი ზრდის ამ ინვესტიციის ღირებულებას.“¹⁵

თბილისის მუნიციპალიტეტის დაკვეთით და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით 2017 წელს ბრიტანელი ექსპერტის ჯონ ბეროუზის მიერ, რომელიც სპეციალისტია ურბანული დაგეგმარების და ყოფილი საწარმოო ტერიტორიების-„ბრაუნფილდების“ გარდაქმნის სფეროში, ჩატარდა კვლევა. წლების განმავლობაში ეს ადამიანი „წარმართავდა საინვესტიციო სტრატეგიებს ყოფილი საწარმოო ტერიტორიების-ბრაუნფილდების ხელახალი განვითარების მიზნით., მისთვის კარგადაა ცნობილი თუ რა ხარჯები სჭირდება და რა სარგებელი მოაქვს აღნიშნული ტერიტორიების აღდგენას და გამოყენებას ეროვნულ, რეგიონულ და ქალაქის, ასევე თვითონ ტერიტორიის დონეზე და რა პრაქტიკულ სირთულეებთან არის ეს ყოველივე დაკავშირებული. კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ყოფილი საწარმოო ტერიტორიების („ბრაუნფილდების“) მასშტაბი თბილისში და განხილულ იქნა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტით შემოთავაზებული წინადადებები ქალაქისთვის. ასევე, ყურადღება გამახვილდა „ბრაუნფილდების“ საკითხის მიმართ შესაძლო მიდგომებზე და პროექტებზე, რომლებიც შესაძლოა ქალაქს მომავალში გამოადგეს. კვლევის მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც: ქონება, რომელიც სავარაუდოდ წარსულში გამოიყენებოდა და რომლის ხელახალი გამოყენება ან განვითარება მომავალში შეიძლება გართულებული იყოს საფრთხის შემცველი ნივთიერებების ან დამაბინძურებლების არსებობის გამო) და თბილისში

¹⁵ <https://forbes.ge/blog/695/Amendment-in-the-Tax-Law-of-Georgia-according-to-which-selling-4-apartments-by-individuals-is-not-explicitly-exempted-from-VAT-anymore> საჯარო ფინანსების კერძო პროექტებში ინვესტიციების ხიბლი საქართველოში. ირაკლი ლაითაძე. 13.01.2021. გადამოწმებულია 18.01.2021

არასაკმარისად გამოყენებული უბნების სწრაფი დიაგნოსტიკა, მათ შორის შემდეგი დეტალების გარკვევა: ასეთი უბნების რაოდენობა და ფართობი, კერძო მფლობელობაში არსებული ტერიტორიის პროცენტული წილი, ეკოლოგიური დაბინძურების ყველაზე გავრცელებული კატეგორიები.¹⁶

ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ბრაუნფილდების“ ტერიტორია ყოფილი დიდი ქარხნების საწარმოო უბნებია, რომლებიც აღარ გამოიყენება. ეს საწარმოები ფუნქციონირებდნენ საბჭოთა პერიოდში 1991 წლამდე, როდესაც ისინი პროდუქციას აწვდიდნენ საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებს და ისეთი მოცულობით რაც საქართველოს დღევანდელ მოთხოვნას მნიშვნელოვნად აჭარბებდა. ეს ტერიტორიები უკავშირდებოდა საბჭოთა ეკონომიკას, რომელიც აღარ არსებობს. ზოგიერთი ძალზე დიდი ბეტონის შენობა დღეს ცარიელია და მას მრავალი ჰექტარი მიტოვებული და ცარიელი მიწა აკრავს. თბილისის ცენტრში არსებული „ბრაუნფილდების“ ტერიტორია განხილულ უნდა იქნეს როგორც შესაძლებლობა. ზუსტად არ არის შეფასებული თბილისში არსებული „ბრაუნფილდების“ ტერიტორიის ფართობი. სავარაუდოდ აღნიშნული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 1,500 ჰექტარს, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას. კვლევა განსაზღვრავს თბილისში 60 „ბრაუნფილდს“, რომლის 70% ქალაქის სამხრეთში და სამხრეთ - აღმოსავლეთში მდებარეობს (ისნის და სამგორის სარკინიგზო და მეტროს სადგურების სამხრეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში). აღნიშნულ ტერიტორიებზე თბილისის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში მოდის დედაქალაქის მთლიანი „ბრაუნფილდების“ 80%. თბილისის ბრაუნფილდების ტერიტორიის 13,5% ჩრდილოეთში მდებარეობს ხოლო 6.5% თბილისის ცენტრში, საიდანაც ცენტრალური სარკინიგზო ლიანდაგის მიმდებარე ტერიტორია უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანია.¹⁷

¹⁶ ყოფილი საწარმოო ტერიტორიები-ბრაუნფილდები თბილისში. კვლევის და ანგარიშის ავტორი ჯონ ბეროუზი. 2017. გვ.5 გადამოწმებულია 24.11.2020

¹⁷ ყოფილი საწარმოო ტერიტორიები-ბრაუნფილდები თბილისში. კვლევის და ანგარიშის ავტორი ჯონ ბეროუზი. 2017. გვ.5 გადამოწმებულია 24.11.2020

ცხრილი 2.1 თბილისის ძირითადი "ზრუნველობის" კლასიფიკაცია ადგილმდებარეობის და ფართობის მიხედვით

	უკიდურესად	ბალანს	დიდი	საშუალო	მცირე ტერიტორიები	სულ
ყოველი საწარმოო ტერიტორიები (მასივი 2017)	დიდი ტერიტორიები	დიდი ტერიტორიები	ტერიტორიები	ტერიტორიები	არ არის აღრიცხული	
	100 ჰა +	30 -დან 99 ჰა -მდე	10 -დან 29 ჰა-	1-დან 9-მდე	1 ჰა-მდე	
თბილისის ჩრდილოეთი						
უბნების რაოდენობა 1 ჰექტარზე	0	2	7	5	NR	14
უბნების მთლიანი ფართობი (ჰა)	0	100	95	13	NR	208
თბილისის ცენტრალური ნაწილი						
უბნების რაოდენობა 1 ჰექტარზე	0	2	1	1	NR	4
უბნების მთლიანი ფართობი (ჰა)	0	80	15	5	NR	100
თბილისის სამხრეთი						
უბნების რაოდენობა 1 ჰექტარზე	1	4	13	4	NR	22
უბნების მთლიანი ფართობი (ჰა)	150	155	160	18	NR	483
თბილისის სამხრეთ- აღმოსავლეთი						
უბნების რაოდენობა 1 ჰექტარზე	2	6	11	2	NR	21
უბნების მთლიანი ფართობი (ჰა)	250	345	152	10	NR	757
სულ						
უბნების რაოდენობა 1 ჰექტარზე	3	14	32	12	NR	61
უბნების მთლიანი ფართობი (ჰა)	400	680	422	46	NR	1548

NR = არ არის აღრიცხული. 1 ჰა -მდე ტერიტორიები არ არის აღრიცხული ამ საწყის კვლევაში. ყველა ტერიტორიის ფართობი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის სახელმწიფო გარანტიების მექანიზმში საგადასახადო, საბაჟო და ადმინისტრაციული შეღავათებიც იგულისხმება. განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხშირად ხდება უცხოელი ინვესტორებისათვის სპეციალური შეღავათების შემოღება, უცხოური ინვესტიციების დაზღვევა, საინვესტიციო დავის რეგულირება, ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების რეჟიმი საერთაშორისო დონეზე ითვალისწინებს საერთაშორისო შეთანხმებებს, საერთაშორისო არბიტრაჟს. ევროკავშირის ფარგლებში საერთაშორისო საინვესტიციო

ურთიერთობები რეგულირდება რომის ხელშეკრულებით (1957 წ.) ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული მოქმედების დოკუმენტია საერთაშორისო კაპიტალდაბანდებების რეგულირების აზია-წყნარი ოკეანის შეთანხმება (1994 წ. ჯაკარტა), სახელწოდებით-პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნებაყოფლობითი კოდექსი. საერთაშორისო საინვესტიციო პროცესების ინტენსიური განვითარების ძირითად სტიმულს სწარმოადგენს საერთაშორისო დონეზე მსხვილი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა, საქმიანობის გაფართოება, ახალი ბაზრების ათვისება, წარმოების რაციონალიზაცია, დანახარჯების შემცირება, რისკების დივერსიფიკაცია, სხვა ქვეყნების სტრატეგიულ აქტივებზე და რესურსებზე წვდომა. ცხრილში წარმოდგენილია ქვეყნების რეიტინგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონის მიხედვით.

„გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ მიიღო „მიტოვებული მიწის“ მეტად შეზღუდული განსაზღვრება ჯერ კიდევ 1970 -იან წლებში და ბოლოს განაცხადა, რომ ლონდონში არ არსებობდა მიტოვებული მიწა, მაშინ როცა ყველას შეეძლო დაენახა ვაკანტური მიწის უამრავი ჰექტარი ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში. მოგვიანებით განსაზღვრება შეიცვალა ისე, რომ შესაძლებელი გახდა ბევრი ტერიტორიის ჩართვა კვლევებში. ახალმა კვლევამ მოიცვა უბნები რომლებთან დაკავშირებითაც ბევრი მოქალაქე გამოხატავდა განსაკუთრებულ წუხილებს და უბნები, რომლებსაც სამომავლო განვითარების უკეთესი პერსპექტივები ჰქონდა. მანამდე არსებული შემზღუდველი განსაზღვრებების თანახმად, ეს ტერიტორიები რომლებიც რეალურად „ბრაუნფილდებს“ წარმოადგენდა, გამოტოვებული იყო.“¹⁸

¹⁸ ყოფილი საწარმოო ტერიტორიები-ბრაუნფილდები თბილისში. კვლევის და ანგარიშის ავტორი ჯონ ბეროუზი. 2017. გვ.5 გადამოწმებულია 24.11.2020

1.3. მსხვილი საინვესტიციო ფონდები-სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის ნაწილი

„საინვესტიციო ფონდები არიან ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რომლებიც ქმნიან შესაძლებლობებს, ეკონომიკაში განხორციელდეს დამატებითი ინვესტიციები. ინვესტიციების შეფასებისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა საინვესტიციო ინსტრუმენტი-მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელია ინვესტორმა საკუთარი კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკაში დააბანდოს. საინვესტიციო ფონდები არის ფინანსებზე წვდომისთვის საბანკო სისტემის ალტერნატიული მექანიზმი. რამდენიმე კომპანიამ გამოუშვა ეს ფასიანი ქაღალდები, რაც მარტივად ნიშნავს იმას, რომ ის ახდენს ფინანსების მოზიდვას საკუთარი ბიზნესის განვითარებისთვის. ეს არის შესაძლებლობა ადამიანებისთვის, დაზოგონ თავისუფალი ფინანსური სახსრები და ამ დანაზოგებიდან მიიღონ შემოსავალი. ამ პროცესის ერთ-ერთი ინსტრუმენტია საინვესტიციო ფონდი. დღეს, მთავრობის სხდომაზე განხილული საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონმდებლობა, სრულად აწესრიგებს იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც საჭიროა ქვეყანაში ჯანსაღი, ეფექტიანი და გამართული საინვესტიციო ფონდების შექმნისა და ოპერირებისთვის.“¹⁹

საინვესტიციო ფონდი ესაა ფულადი კაპიტალის გაერთიანება დამატებითი მოგების მიზნების მიზნით. საინვესტიციო ფონდში შემოსავლის მიღების ქემა ერთი შეხედვით მარტივია, კლიენტს შეაქვს საინვესტიციო ფონდში თანხა, ფონდი კი ამ თანხას დებს რომელიმე შემოსავლის მომცემ აქტივში. მოგება იყოფა კლიენტსა და ფონდს შორის. მაგრამ საინვესტიციო ფონდის სტრუქტურა და ოპერაციები რთულია და მრავალმხრივი. საინვესტიციო ფონდი საწარმო არაა, ესაა კაპიტალის ერთიანობა. „საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ სამი ტიპის ფონდის

¹⁹ <https://bm.ge/ka/article/sainvesticio-fondebis-shesaxeb-kanonproeqtis-detalebi-/49261> საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონპროექტის დეტალები. 19.02.2020. გადამოწმებულია 17.12.2020

ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა. სხვადასხვა საქმიანობის მიხედვით, ფონდს შეუძლია ფინანსური სახსრების მობილიზება, როგორც კოლექტიურად, ანუ ფიზიკური პირებიდან, ასევე ორგანიზაციებიდან თავისუფალი ფინანსური სახსრების მობილიზების გზით. კანონპროექტი საშუალებას იძლევა, ფონდმა საქართველოში დააბანდოს საქართველოს გარეთ მობილიზებული ფინანსური რესურსების და პირიქით, საქართველოში მობილიზებული ფინანსური რესურსების ინვესტირება მოახდინოს საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამასთანავე, ავტორიტეტული საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მხრიდან საქართველოს საინვესტიციო რეიტინგის გაუმჯობესება მეტყველებს ერთის მხრივ იმაზე, რომ საქართველოში მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები დღითიდღე უმჯობესდება და მეორეს მხრივ, ეს ქმნის შესაძლებლობას, უცხოელი ინვესტორები დაინტერესდნენ საქართველოს ბაზრით და განახორციელონ საქართველოში, მათ შორის პორტფელური ინვესტიციები.“²⁰

საინვესტიციო ფონდს ყავს მმართველი ან მმართველი კომპანია. საინვესტიციო ფონდი არაა დაკავებული წარმოებით, პროდუქციის გაყიდვით ან მომსახურებით. ის მხოლოდ ყიდულობს და ყიდის მოგების მომტან აქტივებს, როგორცაა ფასიანი ქაღალდები: აქციები, ობლიგაციები და სხვა ფინანსური ვალდებულებები, ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონებაც, ძვირადღირებული მეტალები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები. უნდა დავაკონკრეტოდ, რომ საინვესტიციო ფონდის მიერ ნაყიდი აქტივები არ ხდება ინვესტორების საკუთრება, არამედ რჩება ფონდის განკარგვაში.

„2020 წლის ივლისში პარლამენტმა მიიღო კანონი ერთობლივი საინვესტიციო ფონდების (Mutual Investment Fund) შესახებ, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეფორმის ნაწილია. ცვლილებების ავტორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ეროვნული ბანკია. ახალმა კანონმა უნდა გაამარტივოს საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების

²⁰ <https://bm.ge/ka/article/sainvesticio-fondebis-shesaxeb-kanonproeqtis-detalebi-/49261> საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონპროექტის დეტალები. 19.02.2020. გადამოწმებულია 17.12.2020

დაარსება და მათი ფუნქციონირება. აღნიშნული ცვლილების განხორციელებას საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს. კანონით, საქართველოში დაფუძნებული საინვესტიციო ფონდები იყოფა ორ ძირითად კატეგორიად: ავტორიზებული საინვესტიციო ფონდები, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ საჯარო შეთავაზება, ეროვნული ბანკის მიერ მინიჭებული ავტორიზაციის საფუძველზე და ჰყავდეთ 20-ზე მეტი გაუთვითცნობიერებელი ინვესტორი (ინვესტორი, რომელსაც არ აქვს სათანადო განათლება ამ სფეროში და არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ქონებით) და რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდები, რომლებსაც უფლება აქვთ განახორციელონ მხოლოდ კერძო შეთავაზება და ჰყავდეთ არაუმეტეს 20 გაუთვითცნობიერებელი ინვესტორი. რეგისტრირებული ფონდები არ ექვემდებარება ისეთივე შეზღუდვებს, როგორც ავტორიზებული ფონდები და საზედამხედველო მოთხოვნები მათ მიმართ შედარებით გამარტივებულია.“²¹

საინვესტიციო ფონდებს უფლება აქვთ მიმოქცევაში გამოუშვან საკუთარი ფასიანი ქაღალდები. საინვესტიციო ფონდის მეწილე საერთო ქონების მეწილე ხდება, მაგამ იგი ფონდის არანაირი კონკრეტული საკუთრების მართვაში არ მონაწილეობს. საქართველოს კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (14 ივლისი 2020 წ. #6805) რომლის მიზანია საქართველოში საინვესტიციო ფონდების ბაზრის განვითარება, განმარტებულია, რომ „საინვესტიციო ფონდი არის კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს ამ კაპიტალის განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად ინვესტორების სასარგებლოდ ინვესტირების მიზნისა ინვესტიციო ფონდის აქტივები შესაძლებელია დაიყოს საინვესტიციო პოლიტიკით ან/და სხვა ნიშნით ერთმანეთისგან განსხვავებულ, დამოუკიდებელ საინვესტიციო ნაწილებად, რომლებიც ქვეფონდებად მიიჩნევა. საინვესტიციო ფონდების მარეგულირებელი ნორმები აგრეთვე ვრცელდება მათ შესაბამის

²¹ <https://businessfeed.ge/sainvestitsio-phondebi-saqarthveloshi/> საინვესტიციო ფონდები საქართველოში. გადამოწმებულია 24.22.2020

ქვეფონდებზე, როგორც დამოუკიდებელ საინვესტიციო ფონდებზე, ამ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილებები საინვესტიციო ფონდის ქვეფონდთან, როგორც დამოუკიდებელ საინვესტიციო ფონდთან, მიმართებით.“²²

საინვესტიციო ფონდის აქტივებს შემოსავალი მოაქვთ ორი მეთოდით: ძვირდებიან დროთა განმავლობაში და შეგვიძლია გავყიდოთ ბევრად ძვირად, ვიდრე ვიყიდეთ და აქტივებზე ხდება შემოსავლის დარიცხვა, მაგ. პროცენტი ობლიგაციებიდან და შემოსავალი აქციებიდან. საინვესტიციო ფონდის კალათაში ჩადებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული ოპერაციები შესაძლოა კვეთრად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ყველა საინვესტიციო ფონდში შემოსავალი იყოფა კლიენტის წილის პროპორციულად. იყოფა მხოლოდ მოგება და არა ფონდის აქტივები. ძირითადი დაბანდების ღირებულება გაიცემა მხოლოდ მაშინ, როდესაც ინვესტორი ყიდის თავის წილს საინვესტიციო ფონდში.

„საქართველოს კანონით „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (14 ივლისი 2020 წ. #6805) გათვალისწინებულია, რომ საინვესტიციო ფონდი, რომელიც არ არის იურიდიული პირი (ე. ი. ერთობლივი ფონდია – Common Fund), აქტივების მმართველი კომპანიის მიერ უნდა იმართებოდეს. სხვა შემთხვევაში, როდესაც საინვესტიციო ფონდი იურიდიული პირია (ე. ი. საინვესტიციო კომპანია – Investment Company), აქტივების მმართველის დანიშვნა არ არის სავალდებულო. საინვესტიციო ფონდის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების ფლობას (შენახვა) და საინვესტიციო ფონდის საქმიანობის მონიტორინგს სპეციალიზებული დეპოზიტარი ახორციელებს. კანონის თანახმად, სპეციალიზებული დეპოზიტარის ყოლის ვალდებულება მხოლოდ ავტორიზებულ ფონდებს ეკისრებათ. სამ სუბიექტს: საინვესტიციო ფონდს, აქტივების მმართველ კომპანიასა და სპეციალიზებულ

²² <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=0> საქართველოს კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (14 ივლისი 2020 წ. #6805)

დეპოზიტარს ზედამხედველობას ეროვნული ბანკი გაუწევს. საინვესტიციო ფონდის ან აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის ნებართვას ეროვნული ბანკი გასცემს (ავტორიზაცია, ლიცენზია, რეგისტრაცია).²³

საინვესტიციო ფონდებს აქვთ განსაკუთრებული უპირატესობა, მას შეუძლია იყიდოს ბევრი განსხვავებული აქტივი, რომელიმე აქტივზე ფასის ზრდა კომპენსირდება სხვა აქტივზე ფასის კლებით და ეს ამცირებს ინვეტორის რისკს. საინვესტიციო ფონდს აქვს საკმარისი სახსრები, რომ დაიქირავოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მმართველი მენეჯერი. საინვესტიციო ფონდი არ ითხოვს ცალკეული ინვესტორისაგან კერძო გადაწყვეტილებებს გარიგებების შესახებ.

2011 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო საინვესტიციო ფონდმა. „საპარტნიორო ფონდი“ შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). „საპარტნიორო ფონდის“ საქმიანობა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

1. აქტივების მართვა - ფონდის მართვაში არსებული აქტივების ჯამურმა ბრუნვამ 2018 წელს 717 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ფონდის აქტივების პორტფელი შედგება შემდეგი სტრატეგიული მნიშვნელობის კომპანიებისგან:

საქართველოს რკინიგზა - 100% წილი

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია - 100% წილი

საქართველოს რკინიგზა და ნავთობისა და გაზის კორპორაცია წარმოადგენენ „საპარტნიორო ფონდის“ საინვესტიციო საქმიანობის დაფინანსების მთავარ წყაროს.

²³ <https://businessfeed.ge/sainvestitsio-phondebi-saqarthveloshi/> საინვესტიციო ფონდები საქართველოში. გადამოწმებულია 24.22.2020

2. საინვესტიციო საქმიანობა - ამჟამად ფონდის პორტფელშია რამდენიმე პროექტი ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში და მისი სტრატეგია მიმართულია კერძო ინვესტორების მოზიდვასა და მხარდაჭერაზე. ფონდისთვის მნიშვნელოვანია კომერციულად მომგებიანი პროექტების მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებში, რომლებიც გამოირჩევა განვითარების დიდი პოტენციალით. მათ შორის შემდეგ სექტორებში: ენერჯეტიკა, სოფლის მეურნეობა, წარმოება, უძრავი ქონება და ტურიზმი, ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკა. დაფინანსებისთვის განიხილება მხოლოდ კომერციულად მიზანშეწონილი პროექტები, რომლებსაც გამოცდილი პარტნიორები ან დაქირავებული სპეციალიზირებული ოპერატორები მართავენ. ფონდი ფინანსურ პარტნიორობას უწევს კერძო ინვესტორებს, რაც საშუალო და გრძელვადიან თანადაფინანსირებაში გამოსახება. იგი პასიური პარტნიორის როლში იღებს მონაწილეობას როგორც Greenfield (ახალი ბიზნეს ინიციატივები), ისე Brownfield პროექტებში (ინვესტიცია არსებულ ბიზნესში), წინასწარ განსაზღვრული გასვლის სტრატეგიით. ფონდი პროექტში თავისი მონაწილეობის პარალელურად, ასევე ხელს უწყობს პროექტებისთვის უპირატესი დაფინანსების მოპოვებას კომერციული წყაროებიდან და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან. დაფინანსება ფონდის მხრიდან ხდება კაპიტალში მონაწილეობით და ზოგიერთ შემთხვევაში სუბორდინირებული (კონვერტირებადი და არა-კონვერტირებადი) სესხების მეშვეობით. ფონდის თანამონაწილეობა პროექტებში არ უნდა აღემატებოდეს კაპიტალის 50%-ს. დაფინანსებასთან ერთად, ფონდი პარტნიორს და მმართველ გუნდს ეხმარება გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევაში.²⁴

საინვესტიციო ფონდის სტრუქტურა დამოკიდებულია მისი მუშაობის სპეციფიკაზე, მაგრამ არსებობს საერთო წესებიც:

²⁴ <https://www.fund.ge/who-we-are> საპარტნიორო ფონდი. გადამოწმებულია 18.01.2021

- ინვესტორებს (კლიენტებს) შეაქვთ საინვესტიციო ფონდში ფული, მაგრამ არ მუშაობენ ფონდში, არ არიან დაკავებული აქტიური ოპერაციებით;
- საინვესტიციო ფონდის მმართველი აყალიბებს მის სტრუქტურას და ორგანიზებას უწევს სამუშაო პროცესს, ქირაობს საჭირო სპეციალისტებს;
- სპეციალისტებად შესაძლებელია აყვანილ იქნენ ბროკერები და ფინანსური აქტივებით მოვაჭრე პროფესიონალები;
- საინვესტიციო ფონდს შეუძლია ყავდეს საკუთარი ფასიანი ქარაღლებით მოვაჭრე სპეციალისტიც;

„სს „საპარტნიორო ფონდში“ პროექტის იდეის გენერირება და ინიცირება შესაძლებელია მოხდეს: კერძო ინვესტორის ინიციატივის საფუძველზე ან ფონდის მიერ. პირველ შემთხვევაში ინვესტორი წარმოადგენს პროექტს, რომელსაც ფონდი განიხილავს. მეორე შემთხვევაში, ფონდი თავად ეძებს კერძო ინვესტორს კონკრეტული პროექტისთვის, წინასწარ განხორციელებული ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის საფუძველზე. „საპარტნიორო ფონდი“ აწარმოებს პროექტის სიღრმისეულ ანალიზს (ფინანსური ანალიზი, ბაზარზე არსებული მდგომარეობა, ზრდის პოტენციალი, სტრატეგიის რელევანტურობა, მმართველი გუნდის უნარი განახორციელოს შეთანხმებული სტრატეგია). ფონდი აფინანსებს კერძო ინვესტორებს შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- საპარტნიორო ფონდს შეუძლია განახორციელოს ინვესტიცია მხოლოდ საქართველოში, ყველა სექტორში მომსახურების სფეროს გარდა;
- ფონდი ახორციელებს ინვესტიციებს მხოლოდ კომერციულად მომგებიან პროექტებში;
- ფონდი უფლებამოსილია მიიღოს მონაწილეობა კაპიტალში და ასევე გასცეს სუბორდინირებული/უპირატესი სესხები (both convertible and non-convertible);
- ფონდის მონაწილეობა პროექტში, იქნება ეს კაპიტალისა თუ სესხის სახით, არ უნდა აღემატებოდეს კერძო ინვესტორის წილს;

ფონდის მიზანია მიიღოს მონაწილეობა პროექტებში უმცირესი თანამეწილის სახით, საშუალო ან გრძელ ვადიანი პერსპექტივით. როდესაც პროექტი გახდება მდგრადი, ფონდი გამოდის თანამონაწილეობიდან. პროექტის შერჩევის კრიტერიუმებია:

- პარტნიორის უნდა ჰქონდეს ფინანსური რესურსი კაპიტალის სახით პროექტის ნაწილის დასაფინანსებლად წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ეკონომიკური ტექნიკური დასაბუთება (ბაზრის კვლევა);
- ფონდის წილი არ უნდა იყოს მთლიანი ინვესტიციის 50%-ზე მეტი; პროექტიდან ფონდის გასვლა უნდა იყოს შესაძლებელი 3-7 წლის განმავლობაში.²⁵

საინვესტიციო ფონდები კლასიფიცირდებიან სხვადასხვა კრიტერიუმებით: საინვესტიციო პორტფელში ძირითადი აქტივების მიხედვით, ქვეყნებისა და ბაზრების მიხედვით, მართვის სტილისა და აქტივებთან დამოკიდებულების მიხედვით, კაპიტალის განაწილების მექანიზმის მიხედვით და ა.შ.

1. ხელმისაწვდომობის მიხედვით-ღია, დახურული და კერძო საინვესტიციო ფონდები (Public-availability vehicles, Limited-availability vehicles, Private-availability vehicles). ამ კრიტერიუმით:

- ღია ეწოდება საინვესტიციო ფონდებს, რომლის აქციები და პაი იყიდება შეუზღუდავად.
- დახურული ან შეზღუდული ეწოდება საინვესტიციო ფონს, რომელშიც წილი ხელმისაწვდომის ინვესტორთა გარკვეული კატეგორიისათვის.
- კერძო საინვესტიციო ფონდები შეიძლება ეკუთვნოდეს პირთა შეზღუდულ რაოდენობას, მაგალითად-ოჯახის წევრებს.

2. აქციების ფასის და სხვა აქტივების შეთანაწყობის მიხედვით-ღია და დახურული საინვესტიციო ფონდები (Open-End & Closed-End Funds),). ამ კრიტერიუმით:

²⁵ <https://www.fund.ge/site/view/22> საპარტნიორო ფონდი. გადამოწმებულია 18.01.2021

- ორივე ტიპის საინვესტიციო ფონდების აქციები იმყოფება თავისუფალ მოძრაობაში მეორად ბაზარზე;
- ღია საინვესტიციო ფონდების აქციები იყიდება აქტივების რეალურ ღირებულებაზე დამოკიდებულებით;
- დახურული საინვესტიციო ფონდების აქციებს შეუძლიათ გაიარონ საწყისი განთავსება და შემდეგ გაიყიდოს ბირჟაზე საბაზრო ფასით.თუ ასევე აქტივის რეალურ ფასზე დაბალია, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აქციები იყიდება ფასდაკლებით. დახურული საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულება დღის განმავლობაში იცვლება მოთხოვნა მიწოდების საფუძველზე.

3. მართვის სტილის მიხედვით-აქტიური და პასიური საინვესტიციო ფონდები (Actively & Passively Managed Funds), ამ კრიტერიუმით:

- პასიური მმართველობითი სტილის საინვესტიციო ფონდები ყიდულობენ აქტივების განსაზღვრულ პორტფელს, ინახავენ აქციებს და ელოდებიან მათგან შემოსავალს;
- შემოსავალი ყალიბდება აქტივების ფასის ზრდით და აქციებისა და ობლიგაციების პროცენტებიდან;
- ასეთ ფონდებს ხშირად უწოდებენ საინდექსო ფონდებს, რადგან მათი აქტივების ფასი პირდაპირაა დამოკიდებული საინვესტიციო პორტფელის ფასების ინდექსთან;
- აქტიური მმართველობითი სტილის საინვესტიციო ფონდები მოგებას იღებენ მინიმუმ სამი წყაროდან, აქტივების და ობლიგაციების საპროცენტო შემოსავლიდან, აქტივების ფასთა ცვლილებით და აქტივების გადაყიდვით;

4. საპაიო საინვესტიციო ფონდები, ეს საინვესტიციო ფონდების ყველაზე ძველი და გავრცელებული ფორმაა. ფონდის ამ სახეობას ახასიათებს:

- მისი კაპიტალი დაყოფილია პაიებად, წილებად ან აქციებად, რომლებიც ან ძვირდება ან მას დაერიცხება შემოსავალი პროცენტის სახით;
 - პაის ფასი იცვლება ყოველდღიურად.
5. საბირჟო საინდექსო საინვესტიციო ფონდები (Exchange Traded Funds, ETF) შედარებით ახალი ფორმაა, როგორ მუშაობს?
- საინვესტიციო ფონდი ყიდულობს ეკონომიკის რომელიმე სექტორის აქციებს, ობლიგაციებს ან სხვა შემოსავლიან აქტივებს;
 - ხდება ამ აქტივების შეფასება, რომლისთვისაც გამოიყენება ფინანსური სექტორის მარეგულირებელი სხვა და სხვა ცნობილი ინდექსები;
 - ფონსი უზრუნველყოფს აქციებით მუდმივ თავისუფალ ვაჭრობას.
6. ჰეჯ-ფონდები (Hedge Funds) საინვესტიციო ფონდების განსაკუთრებული ფორმაა ფართო შესაძლებლობებით და რთული მმართველობითი სტილით. როგორც წესი ჰეჯ-ფონდების მიზანია ან რისკის არჩეული დონის პირობებში მაქსიმალური მოგების მიღება, ან რისკის დონის დაწევა და გარანტირებული შემოსავალი. მათ ახასიათებთ;
- ჰეჯ-ფონდები ერთდროულად მუშაობენ რამოდენიმე ფინანსურ აქტივზე, არა მხოლოდ ინახავენ აქტივებს საინვესტიციო პორტფელში, არამედ ყიდულობენ და ყიდიან კიდევ;
 - ჰეჯ-ფონდები სარგებლობენ ნასესხები სახსრებით, ითხოვენ მსხვილ დაბანდებებს, არ მუშაობენ მცირეშემოსავლიან ინვესტორებთან. აშშ-ში ჰეჯ-ფონდთან თანამშრომლობის მინიმალური ზღვარია კერძო ინვესტორისათვის-5 მლნ \$, კორპორაციისათვის 20 მლნ\$.

საქართველოს კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (14 ივლისი 2020 წ. #6805) განმარტებულია, რომ „საქართველოში საინვესტიციო ფონდი შესაძლებელია დაფუძნდეს საინვესტიციო კომპანიის ან ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით. საინვესტიციო ფონდი, როგორც საინვესტიციო კომპანია, შესაძლებელია არსებობდეს სააქციო საზოგადოების ფორმით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს

ფონდის სტრუქტურა:



შესაბამისად, დახურული რეგისტრირებული საინვესტიციო კომპანია შესაძლებელია აგრეთვე არსებობდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების ფორმით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თუ საინვესტიციო კომპანიამ დანიშნა აქტივების მმართველი კომპანია, ამ საინვესტიციო კომპანიის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებების განმახორციელებელი პირი აქტივების მმართველი კომპანიაა. საინვესტიციო ფონდი ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით უნდა დაფუძნდეს სახელშეკრულებო სქემად, რომელსაც მართავს და წარმოადგენს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე აქტივების მმართველი კომპანია. საინვესტიციო ფონდს შესაძლებელია მართავდეს მხოლოდ ერთი აქტივების მმართველი კომპანია.“²⁶

თუ თვალს გადავავლებთ სს „საპარტნიორო ფონდის“ სექტორულ ანალიზს, დავინახავთ, რომ იგი მოიცავს: უძრავ ქონებას, წარმოებას, სოფლის მეურნეობას, ინფრასტრუქტურას და ენერჯეტიკას. „საპარტნიორო ფონდის“ პარალელურად 2013

²⁶ <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4924135?publication=0> საქართველოს კანონში „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ (14 ივლისი 2020 წ. #6805)

წელს საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო კერძო საინვესტიციო ფონდმა „თანაინვესტირების ფონდის“ სახელწოდებით“. „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი (GCF) არის კერძო კაპიტალის ფონდი, რომლის მთავარი მიზანია, საქართველოში არსებულ მზარდ ინდუსტრიებში საინვესტიციო პროექტების განხორციელება. ფონდი, რომელიც 2013 წლიდან ამოქმედდა, მიზნად ისახავს დააბანდოს არსებული კაპიტალი და მნიშვნელოვანი ინვესტიციები განახორციელოს როგორც უცხოელ, ასევე ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად. კერძოდ კი ფონდის სტრატეგიული მიმართულებებია: სოფლის მეურნეობა და ლოგისტიკა, ტურიზმი და უძრავი ქონება, ენერჯეტიკა და ინფრასტრუქტურა, მრეწველობა. ფონდი ორიენტირებულია განახორციელოს 25%-დან 100%-მდე წილობრივი მონაწილეობა ისეთ პროექტებში, რომელთა მინიმალური მომგებიანობა 17%-ს შეადგენს. პროექტის მინიმალური ჯამური საინვესტიციო მოცულობა უნდა შეადგენდეს 5 მლნ აშშ დოლარს. საქართველოს თანაინვესტირების ფონდი შეინარჩუნებს საკუთრების ინტერესს კომპანიებში 7-დან 9 წლის მანძილზე. ამ პერიოდის განმავლობაში ფონდი გაასხვისებს კომპანიის საინვესტიციო წილს, სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით:

- პროექტის გაყიდვა თანა-პარტნიორებზე;
- გაყიდვა მესამე მხარეზე;
- აქციების განთავსება ადგილობრივ და საერთაშორისო საფონდო ბირჟებზე;²⁷

²⁷ <http://gcfund.ge/ka/527/overview> საქართველოს თანაინვესტირების ფონდი. გადამოწმებულია 20.01.2021

თავი II

სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა პანდემიის პირობებში


2.1. საინვესტიციო გარემო საქართველოში

„საინვესტიციო კლიმატი პირველ ყოვლისა განისაზღვრება იმით,თუ რამდენად მიმზიდველი და კომფორტულია ის საშუალო ზომის საინვესტიციო პროექტებისა და ინვესტორებისათვის. მსხვილ ენერგოპროექტს ან მსოფლიო სასტუმრო ბრენდის შემოსვლას რომ მთელი სამთავრობო გუნდი მიესალმება და ხელს უწყობს, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქვეყნის საინვესტიციო კლიმატი ზოგადად მიმზიდველია. სწორედ ისეთი საინვესტიციო გარემოს შექმნაა საჭირო, რომელიც უპირველეს ყოვლისა მცირე და საშუალო ზომის ინვესტიციებისათვის იქნება მიმზიდველი და რომელშიც მცირე და საშუალო ზომის ინვესტორებს ექნებათ განცდა, რომ ამ ქვეყანაში მათ სამუშაო გარემოზე ზრუნავენ და კომფორტული ოპერირებისათვის მაქსიმალურ პირობებს ქმნიან. ასობით მილიონი დოლარის მსხვილი საინვესტიციო პროექტები, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ არ უნდა გვეკონდეს მოლოდინი და არ უნდა ვიყოთ იმის იმედად, რომ ასეთი პროექტები ჩვენი მასშტაბის ქვეყნისა და ეკონომიკის პირობებში რეგულარულად გვექნება. მცირე და საშუალო ზომის, ნახევარი მილიონიდან რამდენიმე ათეულ მილიონამდე ღირებულების საინვესტიციო პროექტების გარეშე ასეთი რეგულარული შემოდინების უზრუნველყოფა შეუძლებელია.“²⁸ საინვესტიციო გარემო ესაა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი, ტექნოლოგიური და სხვა პირობების შეთანაწყობა. საინვესტიციო გარემოს ელემენტებია: საინვესტიციო ობიექტების სიმრავლე, საინვესტიციო საქმიანობაში მონაწილეთა სიმრავლე, გამართული

²⁸ <https://forbes.ge/news/7659/sainvesticio-klimati-rogorc-infrastruqturis-nawili> საინვესტიციო კლიმატი, როგორც ინფრასტრუქტურის ნაწილი სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის. რევაზ ვაშაკიძე, ავთანდილ გოგოლი. 22 იანვარი 2020 წ. გადამოწმებულია 11.01.2021

საინვესტიციო ბაზარი, საინვესტიციო ინსტიტუტები. რა ფაქტორები ახდენენ გავლენას საინვესტიციო პროცესების წარმოებაზე? ასეთი შეიძლება იყოს შიდა და გარე ფაქტორები;

- ეკონომიკის საერთო მდგომარეობა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დინამიკა;
- სტაბილური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა;
- საბაზრო უღტიერთობების განვითარების დონე და ინფრასტრუქტურა;
- სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა (მრეწველობა, ფინანსები, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა);
- საინვესტიციო საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა;
- უცხოური კაპიტალის მოზიდვის პირობები;
- კონკრეტული სუბიექტების სამეურნეო საქმიანობის მასშტაბები;
- კონკრეტული საინვესტიციო პროექტის სასიცოცხლო ციკლის ფაზები;
- ფინანსური მდგომარეობა;



➤ ბიზნესის მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა და ა.შ.

„აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოში არსებულ საინვესტიციო კლიმატს მიმოიხილავს. ვრცელ ანგარიშში საუბარია ბიზნესთან დაკავშირებულ ქართულ კანონმდებლობაზე, რეგულაციებზე, საკუთრების უფლების კუთხით არსებულ გარემოსა და ხელისუფლების მიერ გატარებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. „მცირე, მაგრამ ღია ბაზარი“ - ასე აფასებს დეპარტამენტი საქართველოში არსებულ ბიზნეს გარემოს და წერს, რომ ქვეყანამ 1991 წლიდან დღემდე, მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. შედეგად, საქართველოს საბაზრო ეკონომიკა შეფასებულია, როგორც „შედარებით კარგად მომუშავე და სტაბილური.“ ამის ფონზე, ანგარიშში გამოთქმულია კრიტიკული მოსაზრებებიც, მეტწილად სასამართლო დავებთან დაკავშირებით. „ზოგიერთი კომპანია გამოხატავს ნდობის მზარდ ნაკლებობას სასამართლო სექტორის უნარის მიმართ, კომერციულ დავებში გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად, დროულად და კომპეტენტურად“ -ნათქვამია ანგარიშში.“²⁹

ქვეყანაში უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის უპირველეს ყოვლისა აუცილებელია სასურველი საინვესტიციო კლიმატის შექმნა. მასზე ზემოქმედი ფაქტორები იცვლება მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით. თუ წლების წინ ასეთ ფაქტორებად ასახელებდნენ ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, კლიმატის თავისებურებებს, ბუნებრივი რესურსების თავმოყრას დღეს ეს მიდგომები შეცვლილია და გასაკუთრებული ყურადღება ექცევა: ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარეს, სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, საგადასახადო და საბაჟო სისტემების გამართულობას, ინფრასტრუქტურას და ა.შ. „ქვეყანაში უცხოურ ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდისათვის საჭიროა ეფექტიანი საინვესტიციო გარემოს ქონა. საინვესტიციო გარემო ფართო ცნებაა და მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ

²⁹ <https://www.amerikiskhma.com/a/investment-climate-statements-georgia/5580154.html> საინვესტიციო გარემო საქართველოში -აშს-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში. გადამოწმებულია 19.01.2021


ასპექტებს. თითოეულ ქვეყანას თავისი უნიკალური საინვესტიციო გარემო გააჩნია, რომლის შემადგენელი ფაქტორების აქტუალურობა იცვლება როგორც ქვეყნების, ასევე დროის მიხედვითაც. ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების წარმატებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტორების მხრიდან. მაგალითად, დაბალი ინფლაცია და ფისკალური კრიზისების არარსებობა მნიშვნელოვანი სიგნალია უცხოელი ინვესტორებისათვის ადგილობრივი ეკონომიკის სტაბილურობის შესახებ. ეკონომიკური ფაქტორების გარდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია კორუფციის დონე და ბიზნესის მიერ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის საჭირო დრო.³⁰

საინვესტიციო გარემო ესაა ქვეყანაში საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური პირობების სისტემა რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შემოსავლების დონეზე, რისკებზე და ინვესტიციის ლიკვიდურობაზე. საინვესტიციო გადაწყვეტილება საკმაოდ რთული არჩევანია და ეფუძნება მთელი რიგი ფაქტორებისა და ტენდენციების მრავალვარიანტულ, მრავალკრიტერიუმიან შეფასებებს.

„ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებული ნებისმიერი ქვეყანა უნდა სთავაზობდეს პოტენციურ ინვესტორს სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველ ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს. ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი და სახელისუფლებო წრეები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ მაქსიმალურად გახსნილი და ლიბერალური ეკონომიკური გარემოს შექმნით. ამ კუთხით ქვეყნების საინვესტიციო საქმიანობას რამდენიმე გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია იკვლევს და, ინდექსებზე დაყრდნობით, შესაბამის რეიტინგებს აქვეყნებს. აღნიშნულ რეიტინგებს შორის აღსანიშნავია ბიზნესის კეთების სიმარტივის (Doing business) და ეკონომიკური თავისუფლების (Heritage Foundation) რეიტინგები, რომელთა ჩამონათვალში საქართველოს საკმაოდ მაღალი სარეიტინგო შეფასება აქვს. პირველ

³⁰ https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_8343_1.pdf უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში. დისერტაცია. ირაკლი მესხი. 2017. გვ.99. გადამოწმებულია 22.12.2020

**უმსხვილესი პირდაპირი უხსოვარი ინვესტიციები
ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019* წელს**




გრაფიკი 2

წყარო: საქსტატი

რეიტინგში, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით, 2020 წელს საქართველო მსოფლიო რეიტინგში (190 ქვეყანას შორის) მე-7 ადგილზეა (ერთი პოზიციით გაუარესდა 2019 წელთან შედარებით და მე-6 პოზიციიდან მე-7-ზე გადაინაცვლა), ხოლო მეორეში მსოფლიო მასშტაბით (180 ქვეყანას შორის) მე-12 ადგილზეა და რჩება უმეტესად თავისუფალ ქვეყანათა ჯგუფში. როგორც ციფრებიდანაც ჩანს, ორივე რეიტინგის მიხედვით, საქართველო ძირითად ათეულსა და ოცეულში შედის, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს რეიტინგები არ ასახავს და შეფასების მიღმა ტოვებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობისა და მასთან დაკავშირებულ რიგ საფრთხეებს. ასევე, რეიტინგებში ასახული არ არის ის, რომ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, 12 წლის წინ ქვეყანას ომი ჰქონდა რუსეთთან და მას შემდეგ ფაქტობრივად უწყვეტი აგრესიის ქვეშაა. რუსეთის ფაქტორი და ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია საქართველოს ბიზნეს-გარემოსთვის და შესაბამისად ინვესტორთა მოზიდვის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უმსხვილესი ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020 წლის III კვარტალში, წინასწარი მონაცემებით




პრობლემაა, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ ხშირად აპელირებს. შესაბამისად, ისეთი ალიანსების წევრობა, როგორც მაგალითად ნატოა, მნიშვნელოვანი მიზანია არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური და საინვესტიციო თვალსაზრისითაც ³¹

31

<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.10. გადამოწმებულია 15.11.2020

**უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2020* წლის III კვარტალში**



საინვესტიციო გარემოს ქვეშ იგულისხმება საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტებისათვის სახელმწიფოს ან რეგიონალურ დონეზე შექმნილი პირობები, საინვესტიციო გარემოს ფორმირება ხდება ქვეყანაში მოქმედი საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე. საინვესტიციო გარემოს შექმნის მთავარი მიზანია საინვესტიციო პროცესებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, რაც გულისხმობს კაპიტალის მომწოდებლების (რომლებსაც აქვთ დროებით თავისუფალი ფულადი სასრები) და ამ კაპიტალის მომთხოვნები ურთიერთდაკავშირება. არსებობს ამ მექანიზმის განხორციელების განსხვავებული მეთოდები. იგი შეიძლება განხორციელდეს ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობის, ფინანსური ბაზრების მეშვეობით და პირდაპირი გზით.

„საქართველოს საკმაოდ ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა გააჩნია, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორი იყოს ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუმცა, გაუმართავი სატრანსპორტო და ლოჯისტიკური

ინფრასტრუქტურა აქაც შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს. ამაზე საერთაშორისო რეიტინგებიც მეტყველებს, ინდექს მუნდის თანახმად ლოჯისტიკური წარმადობის კუთხით საქართველო 133-ე პოზიციაზეა, 2.35 ქულით, რაც საშუალოზე დაბალია. საქართველოს საინვესტიციო უპირატესობას სძენს ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმი (განსაკუთრებით, ხელშეკრულებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ევროკავშირთან, დსთ-ს ქვეყნებთან, თურქეთთან, ჩინეთსა და ჰონგ-კონგის სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულთან) და უცხოური კაპიტალის გადაადგილებაზე კონტროლის არარსებობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც დამატებით ღირებულებას სძენს ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალს. საქართველოს გააჩნია პოტენციალი კავკასიისა და ცენტრალური აზიის მთავარ სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაზად იქცეს, რაც ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ ძირითად და აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს. ქვეყნის სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პოტენციალი ამ ეტაპზე სრულად ათვისებული არ არის, ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით კი ამ ორ ფაქტორს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.³²

ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საინვესტიციო მიმზიდველობა ინტეგრალური მახასიათებელია. ეკონომიკის დარგების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება და პროგნოზირება ხდება სამი პარამეტრით:

32

<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.11. გადამოწმებულია 15.11.2020

1. ეკონომიკის კონკრეტული დარგის განვითარების პერსპექტივის დონის შეფასება ასეთი შეფასების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:
 - ეკონომიკის კონკრეტული დარგის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში;
 - ეკონომიკის კონკრეტული დარგის მდგრადობა ქვეყნის განვითარების არასასურველ პირობებში;
 - ეკონომიკის კონკრეტული დარგის სოციალური მნიშვნელობა;
 - ეკონომიკის კონკრეტული დარგის უზრუნველყოფა საკუთარი ფინანსური რესურსებით;
 - ეკონომიკის კონკრეტული დარგის სახელმწიფო მხრდაჭერის ხარისხი;
2. საწარმოს საშუალოდარგობრივი რენტაბელობის შეფასება და მისი დინამიკის შეფასების განხორციელების პროცესში გამოიყენება რენტაბელობის კოეფიციენტების სისტემა, რომელთა შორის პრიორიტეტულია საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტი (იგი გვამღევს წარმოდგენას ინვესტიციის შემოსავლიანობის საშუალოდარგობრივი ნორმის შესახებ). უნდა აღინიშნოს, რომ საშუალოდარგობრივი რენტაბელობის კოეფიციენტის გამოთვლა ბოლო წლებში ინტენსიურად ხდება.
3. დარგობრივი საინვესტიციო რისკების შეფასება. ასეთი შეფასების ჩატარების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:
 - შიდადარგობრივი მაჩვენებლების რენტაბელობის ვარიაციის კოეფიციენტი წლების მიხედვით;
 - შიდადარგობრივი მაჩვენებლების რენტაბელობის ვარიაციის კოეფიციენტი ცალკეული საწარმოების მიხედვით;
 - დარგში კონკურენციის დონე;
 - დარგში წარმოებული პროდუქციის ფასების მდგრადობა ინფლაციური პროცესების მიმართ;
 - სოციალური დამაბულობის დონე და ა.შ.

„საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სექტორული ანალიზის დროს აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტ ინვესტიციას საფინანსო სექტორი იზიდავს (20.6% - 2019 წელს და 57.4%- 2020 წლის პირველ კვარტალში) და ეს ტენდენცია წლებია გრძელდება, რაც ერთ-ერთი ნიშანია იმისა, რომ საქართველოში აღნიშნული სექტორი ყველაზე უკეთ არის განვითარებული. რეგიონების მიხედვით, ლიდერია თბილისი, სადაც მთლიანი ინვესტიციების 63%-ია განხორციელებული.“³³

რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობა (investment preference of regions) ქვეყნის ცალკეული რეგიონების ინტეგრალური მახასიათებელია, ამ რეგიონებში საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების ეფექტურობის პოზიციიდან. ქვეყნის რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასება და პროგნოზირება ხდება ხუთი პარამეტრით:

1. რეგიონის საერთოეკონომიკური განვითარების დონის შეფასება. ასეთი შეფასების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:
 - რეგიონის განსაკუთრებული წონა მთლიან შიდა პროდუქტსა და ეროვნულ შემოსავალში;
 - მოცემულ რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე სასოფლიო სამეურნეო და სამრეწველო პროდუქციის წილი;
 - მოცემულ რეგიონში მოსახლეობის საშუალო შემოსავლიანობა;

³³<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254>

- მოცემულ რეგიონში საინვესტიციო აქტივობის მოცულობა და დინამიკა და ა.შ.
2. **მოცემულ რეგიონში საინვესტიციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონის შეფასება.** ასეთი შეფასების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:
- კონტრაქტორი სამშენებლო კომპანიების (ფირმების) რაოდენობა რეგიონში;
 - სამშენებლო მასალების ადილობრივი წარმოების მოცულობა;
 - ადილობრივი ენერგორესურსების მოცულობა;
 - სარკინიგზო და საავტომობილო გზების სიმყარე (საავტომობილო გზების დაფარვა მყარი ზედაპირით 100 კვ.მ.ტერიტორიაზე);
 - საფონდო და სასაქონლო ბირჟების არსებობა რეგიონში;
 - იმ საბროკერო კანტორების რაოდენობა, რომელმაც ახდენენ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე აქტიურ ოპერირებას.
3. **რეგიონის დემოგრაფიული დახასიათება.** ასეთი შეფასების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:
- რეგიონის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში;
 - თანაფარდობა რეგიონის ქალაქისა საოფლის მოსახლეობას შორის;
 - დასაქმებული მომუშავეების წილი;
 - შრომისუნარიანი მოსახლეობის კვალიფიკაციის დონე.
4. **რეგიონის კომერციული ინფრასტრუქტურის და საბაზრო ურთიერთობების განვითარების დონის შეფასება,** რომელიც ეყრდნობა შემდეგ მაჩვენებლებს:
- რეგიონში მოქმედ საწარმოების საერთო რაოდენობაში არასახელმწიფო საკუთრების ფორმის საწარმოთა წილი;
 - რეგიონში საზღვარგარეთელ მეწარმეებთან პარტნიორობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების რაოდენობა;

- რეგიონში მომქმედი საბანკო ინსტიტუტების რაოდენობა (მათ შორის ფილიალები);
- რეგიონში მოქმედი სადაზღვევი კომპანიების რაოდენობა (მათი წარმომადგენლობების ჩათვლით).

5. რეგიონში საინვესტიციო საქმიანობის უსაფრთხოების დონის შეფასება. ასეთი შეფასების პროცესში განიხილება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები და მახასიათებლები:

- ეკონომიკური დანაშაულის დონე ყოველ 100 000 მცხოვრებზე;
- რადიულობის საშუალო დონე რეგიონის ქალაქებში;
- ბოლო სამი წლის განმავლობაში დაუმთავრებელი მშენებლობების წილი დაწყებული მშენებლობების საერთო რაოდენობაში.

„უცხოელი ინვესტორების მოზიდვის ნათელი მაგალითა საბანკო სფერო, სადაც დღეისათვის მოქმედი ბანკებიდან, თითოეულში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებია განხორციელებული და ხშირ შემთხვევაში, ქართული მხარის (ოფიციალური) წილობრივი მონაცემები არათუ საკონტროლო პაკეტით, არამედ მინიმალური დოზით შემოიფარგლება.“³⁴

რეალური პროექტების საინვესტიციო მიმზიდველობა (investment preference of real projects) ესაა საინვესტიციო პროექტების ინტეგრაციული დახასიათება, რომელიც ეფუძნება მრავალი ფაქტორის შეთანაწყობას, მათ შორის;

- საინვესტიციო პროექტის დასაბუთებულობის ხარისხი;
- საქონლის კონკურენტუნარიანობა;
- მენეჯმენტის ხარისხი;
- წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა;
- პროექტის ინოვაციური პოტენციალი;
- პროექტის ზემოქმედების შეაძლო ვარიანტები გარემოზე;

³⁴ https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.49. გადამოწმებულია 10.11.2020

A1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

	A	AT	AU	AV	AW	AX	AY	AZ	BA	BB	BC	BD	BE	BF	BG
1	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონში														
2															
3	ათასი აშშ დოლარი														
4	რეგიონი	2017	I კვ. 2018	II კვ. 2018	III კვ. 2018	IV კვ. 2018	2018	I კვ. 2019	II კვ. 2019	III კვ. 2019	IV კვ. 2019	2019	I კვ. 2020*	II კვ. 2020*	III კვ. 2020*
5	სულ	1,978,281.5	328,566.9	406,074.2	365,431.5	206,217.4	1,306,290.0	313,695.5	236,571.3	396,035.5	364,471.4	1,310,773.7	174,695.8	241,634.7	302,620.3
6	მათ შორის:														
7	ქ. თბილისი	1,527,256.4	285,570.4	306,149.3	270,250.5	177,027.0	1,038,997.3	241,818.0	135,234.3	262,294.9	272,885.0	912,232.3	122,631.9	118,775.4	222,867.7
8	აჭარა	210,798.0	-21,855.7	101,091.7	1,268.0	-2,294.9	78,209.2	25,137.7	38,527.9	44,062.0	90,367.0	198,094.6	21,305.0	51,873.2	13,313.8
9	კახეთი	12,437.3	-2,466.7	509.9	-3,900.2	-2,761.2	-8,618.1	-677.9	-513.1	40.9	1,349.8	199.7	1,705.2	1,135.7	-2,031.7
10	სამცხე-ჯავახეთი	38,870.3	17,398.6	-5,612.2	19,023.7	14,378.9	45,189.0	14,014.0	11,827.5	17,515.8	7,376.9	50,734.2	6,585.2	133.6	12,121.8
11	ქვემო ქართლი	64,693.2	29,581.3	27,400.8	12,873.8	16,518.9	86,374.8	4,690.8	20,737.7	22,792.6	-138.5	48,082.6	10,063.9	25,760.2	38,031.9
12	სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	56,264.6	5,584.7	-19,605.3	36,204.5	-32,584.2	-10,400.4	11,957.3	7,591.8	30,513.3	-3,946.7	46,115.7	7,919.2	16,167.7	-1,864.9
13	სამეგრელო-ზემო სვანეთი	55,180.1	5,479.8	-19,490.3	36,004.7	-32,696.2	-10,702.0	11,884.3	7,366.4	29,624.4	-4,412.4	44,462.7	7,232.3	16,382.8	-1,868.5
14	გურია	1,084.5	104.9	-115.0	199.8	112.0	301.6	73.0	225.4	888.9	465.7	1,653.0	686.9	-215.1	3.6
15	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	61,137.3	11,572.1	-7,818.0	17,463.0	6,254.2	27,471.3	10,470.8	14,612.2	10,764.2	10,364.3	46,211.5	5,597.8	4,811.2	6,006.8
16	იმერეთი	57,557.8	11,358.9	-8,208.3	16,789.0	6,485.4	26,425.0	10,177.9	14,258.3	10,164.3	9,866.4	44,466.9	5,336.2	4,510.0	5,583.1
17	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	3,579.5	213.2	390.4	674.0	-231.2	1,046.3	292.9	353.9	599.9	497.9	1,744.6	261.6	301.1	423.6
18	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	6,824.4	3,182.1	3,957.8	12,248.2	29,678.7	49,066.8	6,284.8	8,552.9	8,051.7	-13,786.3	9,103.2	-1,112.3	22,977.5	14,175.1
19	შიდა ქართლი	1,087.8	-2,949.8	5,003.6	9,574.2	3,612.0	15,240.0	5,581.2	7,020.3	5,342.8	-16,701.3	1,243.0	239.7	4,281.6	8,365.3
20	მცხეთა-მთიანეთი	5,736.6	6,131.9	-1,045.7	2,674.0	26,066.8	33,826.9	703.7	1,532.6	2,708.9	2,915.0	7,860.2	-1,352.1	18,695.9	5,809.8

წყარო: საქსტატი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi> გადამოწმებულია 18.01.2021

- ფინანსური უზრუნველყოფა;
- პროექტის ეკონომიკური ეფექტურობა;
- სახელმწიო, მუნიციპალური გარანტიები;
- სინერგიული ეფექტი;
- საწარმოო რისკები;
- პროექტის რელიაზაციის რისკი;
- ფორს-მაჟორული რისკი;
- ეკოლოგიური რისკი;
- საკრედიტო რისკი;
- ინფორმაციის უკმარისობის რისკი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ბნახავთ ინფორმაციას ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის“ საინვესტიციო პროექტის შესახებ, ის მიმდინარე პროექტის სტატუსითაა წარმოდგენილი. (<http://www.economy.ge/?page=projects&s=31> 25.01.2021 გადამოწმებით) „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის განხორციელება 2016 წელს დაიწყო. იგი ანაკლიის მიმდებარედ, 340 ჰექტარის ფართობის ტერიტორიაზე შენდებოდა. პორტის მშენებლობისა და განვითარების ღირებულება 2.5 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. ანაკლიის პორტის მშენებლობა რამდენიმე ეტაპად უნდა განხორციელებულიყო, მოიცავდა 9 ფაზას და, საბოლოო ჯამში, მისი გამტარუნარიანობა წელიწადში 100 მილიონ ტონას მიაღწევდა. პროექტი საქართველოში ათასობით ახალ სამუშაო ადგილს შექმნიდა. პორტის პირველი ფაზის გახსნა და პირველი გემების მიღება 2020-2021 წლებში იგეგმებოდა. ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მთავარ უპირატესობად მისი სტრატეგიული მდებარეობა და მაღალი გამტარუნარიანობა სახელდება, ამას თან მოყვებოდა ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარება, ლოგისტიკური სერვისების შესაძლებლობა და გაფართოების პერსპექტივა, მას საქართველოს რეგიონის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლოგისტიკურ ცენტრად, ხოლო აზრემუმის გზის ისტორიულ

მარშრუტზე სტრატეგიულ კვანძად ასახელებდნენ. ანაკლიის პორტი უნდა ყოფილიყო რეგიონში დამატებითი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების წინაპირობა.³⁵ დღევანდელი გადასახედიდან ბევრი შეკითხვაა ამ პროექტთან დაკავშირებით... დავიწყეთ იმ ინფორმაციით რაც ხელმისაწვდომი აღმონდა ჩვენთვის. პროექტის განსახორციელებლად სპეციალურად შექმნილმა „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ იცოდა, რომ პორტის მშენებლობის მხოლოდ პირველი ფაზისთვის 600 მილიონი აშშ დოლარი დასჭირდებოდათ. ამ 600 მილიონიდან დაფუძნებული კონსორციუმი საკუთარი კაპიტალის სახით 100 მილიონს დოლარს დებდა. კიდევ 100 მილიონს საპარტნიორო ფონდიდან", ანუ სახელმწიფოსგან იღებდა სუბორდინირებული სესხის სახით. რაც შეეხება დარჩენილ 400 მილიონ დოლარს, ამასაც სესხად, მხოლოდ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისგან - EBRD, ADB, AIIB და OPIC მიიღებდა. შემდგომ გაირკვა, რომ ბანკები კონსორციუმს სესხს მხოლოდ სახელმწიფოს თავდებობით მისცემენ, კონსორციუმი და მთავრობა ამასთან დაკავშირებით შეთანხმებულები არ ყოფილან, პროექტში არ ყავდათ არც სტრატეგიული ინვესტორი და არც პორტების ოპერატორი, რომელიც უზრუნველყოფდა ერთი მხრივ ბანკების სესხების დაცვას და მეორე მხრივ ტვირთების მოზიდვის უზრუნველყოფას. როდესაც პროექტის განსახორციელებლად სპეციალურად შექმნილმა "ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა" კონკურსში გაიმარჯვა, მაშინ აღინიშნა, რომ მისი სტრატეგიული პარტნიორი იქნებოდა ამერიკული "კონტი ჯგუფი". თუმცა, 2018 წლის ბოლოს „კონტი ჯგუფის" დამფუძნებელი სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდანა სულ გავიდა. ასევე კონსორციუმმა პორტის ოპერატორად თავდაპირველად დაასახელა მსხვილი ამერიკული ოპერატორი SSA Marine, თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული კომპანიის ნაცვლად ანაკლიის პროექტში მონაწილეობას სხვა კომპანია - SSA International აპირებს. ეს კომპანიაც SSA Marine-ს მსგავსად შედის Carrix ჯგუფში.

³⁵ http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf
ჟურნალი „ანაკლია“ #5. დეკემბერი. 2017 წელი. (გადამოწმებულია 26.05.2019)

თუმცა გაცილებით მცირე კომპანიაა. საბოლოოდ საქმე სასამართლომდე მივიდა. რა დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ ამ პროცესებიდან? ის, რომ „აუცილებელია, საქართველოს მთავრობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ძლიერი სახელმწიფო პოლიტიკა ჰქონდეს, ასეთი ტიპის ქმედება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და ისეთ უმნიშვნელოვანეს მომენტებს ითვალისწინებს, როგორებიცაა: კონკურენციის ხელშეწყობა (კონკურენციის სააგენტოს გააქტიურების გზით), ახალი კონტაქტების ჩამოყალიბება (მაგ.: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებთან), სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება (მაგ.: სასამართლო სისტემის დახვეწა, საკუთრების უფლებების მკაცრი დაცვა, სტაბილური პოლიტიკური გარემო...) და სხვ.“³⁶

2.2. საინვესტიციო პერსპექტივები მსოფლიო პანდემიის ფონზე

„საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში, პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77\$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347\$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით, COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის


³⁶https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.49-50. გადამოწმებულია 10.11.2020

ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება. ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდები 2.9%-დან³⁷, რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული. რაბო ბანკის ცოდნის ცენტრის ანგარიში⁴ მოსალოდნელ შედეგებს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებს და გლობალური ეკონომიკის ზრდის შემცირებას 1.6%-მდე ელოდება (უარეს შემთხვევაში კი 0.2%-მდე). მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს უნდა ელოდონ განვითარებადი ეკონომიკებიც.³⁷

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გლობალური დინებები 2020 წლის პირველივე ნაწილში 49 %-ით შემცირდა 2019 წლის იგივე პერიოდთან შედარებით. ამ პროცესებზე ნეგატიურად იმოქმევა მსოფლიო პანდემიამ და მისით გამოწვეულმა რეცესიამ. ამის პარალელურად აშს-ს დარგობრივი საფონდო ინდექსი Nasdaq Biotechnology გაიზარდა 13,25%-ით, პანდემიის პერიოდში რეკორდულად გაიზარდა ვენჩურული ფონდები ბიომედიცინის ტექნოლოგიებში. ამერიკული Silicon Valley Bank-ის მონაცემებით 2020 წლის პირველ ნახევარში აშშ-ში, 10,5 მილიარდი\$-ის ღირებულების ბიოტექნოლოგიებში მომუშავე ახალი ვენჩურული ფონდები გაეშვა. ამ მიმართულებით ლიდერობს ჩინეთი, აშს, იაპონია, კორეა და გერმანია. წელი განსაკუთრებით აქტიური აღმოჩნდა ბიოტექნოლოგიურ კომპანიებში ინვესტირებისათვის. მთავარი მიზანი რა თქმა უნდა ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაა. მაგალითად ამერიკული ბიოტექნოლოგიური კომპანიის Moderna Inc და მასთან ერთობლივ მეწარმეობში ჩართული ალერგიული და ინფექციური დაავადებების შესწავლის ნაციონალური ინსტიტუტის კაპიტალიზაცია 2020 წელს 7 მილიარდი \$-იდან 30 მილიარდ \$-მდე გაიზარდა, რადგან ისინი COVID-19-ის ვაქცინაზე მუშაობენ.

„ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2017 წლის გარდა, როცა მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა)

³⁷ https://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. გადამოწმებულია 22.01.2021



პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლების მიხედვით (ათას აშშ დოლარში), წყარო: საქსტატი³⁸

სტაბილური კლებით ხასიათდება. მაგალითად, 2018 და 2019 წლებში დაახლოებით 1/3-ით ნაკლები ინვესტიცია შემოვიდა 2014 წელთან შედარებით. ცხადია, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე აისახება. საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი) საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევროკავშირიდან⁴⁵ შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 47.2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. 2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.“³⁸

მსოფლიო პანდემიის პირობებში ბევრმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო ინვესტორების მხარდაჭერისა და ეკონომიკის კრიტიკულად მნიშვნელოვანი დარგების დაცვისათვის. „პანდემიის მასშტაბმა და ინფექციის გავრცელების სწრაფმა

³⁸ https://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. გადამოწმებულია 22.01.2021

ტემპმა წლის დასაწყისშივე განაპირობა ცხოვრების ჩვეული რიტმის შეცვლა, რამაც არნახული ზიანი მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. იმის მიუხედავად, რომ პანდემიით მიყენებული ზუსტი ეკონომიკური ზარალი ჯერ დათვლილი არ არის და არც თვითონ ეპიდემიაა დამარცხებული, უდავოა, რომ 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდება ეკონომიკური ზრდის ტემპი მსოფლიოში. აღნიშნული კი განსაკუთრებით მტკივნეული იქნება განვითარებადი და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების ჩაშლა ან გადადება გარკვეულწილად შეამცირებს ეკონომიკის ზრდის ტემპს. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი და პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეკონომიკური შედეგები უკვე გამოქვეყნდა. მათ შორის, სტატისტიკის სამსახურის 2020 წლის პირველი კვარტალის ინვესტიციების წინასწარი მონაცემებით, სახეზეა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ვარდნა. კონკრეტულად, 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციებმა 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის მონაცემებზე 41.7% ნაკლებია. ანგარიშში შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის ისევ სახელდება მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში. არსადაა ნახსენები ის ზიანი, რაც კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ განაპირობა.“³⁹

39

<https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254> COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები.

გვ.12.გადამოწმებულია 23.01.2021

მსოფლიო მასშტაბით COVID-19 პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა ენერგეტიკის და მომპოვებელი მრეწველობის კომპანიები, მათი წლიური შემოსავალი 208%-ით შემცირდა, ავიაგადამზიდი კომპანიების შემცირდა-116%-ით, საავტომობილო მრეწველობის-47%-ით. მომპოვებელ მრეწველობაში მოხდა ობიექტების დიდი ნაწილის დახურვა და წარმოების გაყინვა. თანამედროვე ეტაპზე თვალნათელია, რომ პანდემიის შედეგები იქნება ტოტალურად ნეგატიური და არ იქნება დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა წვდომა გლობალურ ქსელებთან საწარმოს.

„განსაკუთრებით შემცირდა ინვესტიციები ტურიზმის სექტორში, სადაც წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით, კლება 76%-ს შეადგენს. ასევე, მნიშვნელოვნად შემცირდა ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორში-76%-ით, უმნიშვნელოდ, თუმცა ლოგიკურია, რომ გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%). ზემოაღნიშნული ორი სექტორი - ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა. ამასთან, მსოფლიო ასპარეზზე აუცილებლად მოხდება ჩინეთის ფაქტორის გადაფასება, იგი დიდი ალბათობით დაკარგავს მიმზიდველობას საწარმოო სიმძლავრეების გადატანის კუთხით, ვინაიდან ინვესტორები იაფი მუშა ხელისა და სხვა ეკონომიკური მახასიათებლების გარდა, ახალი რეალობის გათვალისწინებით, გადაწყვეტილების მიღების დროს შეაფასებენ ქვეყნების გამჭვირვალობას და კრიზიების მართვის უნარებს.“⁴⁰

ინვესტიციების მოცულობების შემცირების ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზად სახელდება მოთხოვნის დაცემა. ზოგიერთი საინვესტიციო დანახარჯი, მაგალითად პროექტის მიმდინარე დანახარჯები კვლავ გაიზრდება, ისე, რომ პრაქტიკულად პროექტის მფლობელებისათვის ვერანაირ აქტივს ვერ შექმნის. COVID-19 ფონზე შეინიშნება რეინვესტირებული შემოსავლების კლებაც, რაც აისახება კაპიტალურ დანახარჯების სიდიდეზე და მომავალში გასახორციელებელ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. დღეს სამედიცინო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში ფულს დებს ბევრი ინვესტორი, ბანკები, კომპიუტერული ტექნოლოგიების გიგანტები, დეველოპერები და ა.შ. მაგალითად ამერიკულმა საავტომობილო კორპორაციამ General Motors-მა პანდემიის პირობებში მოახდინა წარმოების ახალი მიმართულების დანერგვა და უშვებს ფილტვების ხელოვნური ვენტილიაციის აპარატებს. სამედიცინო ტექნოლოგიების ინდუსტრიაში მოვიდნენ ისეთი გიგანტები, როგორებიცაა Google და Samsung, ბილ გეიტსი, ჯოზეფ ბეზოსი, მაიკლ ბლუმბერგი და ა.შ. 2020 წელს მსხვილი საოჯახო ბიზნესიდან ინვესტიციების 20% ბიომედიცინაში და ჯანდაცვაში წავიდა. ინვესტორთა დიდ ინტერესს წარმოადგენს ბიოტექნოლოგიური სტარტაპები.

„როგორი იქნება მსოფლიო 2021 წელს? - მას შემდეგ, რაც ვაქცინის გამოგონებისა და ფართოდ გავრცელების შედეგად ახალი რეალობის წინაშე დავდებით? რა შეიძლება გაკეთდეს უახლოეს პერიოდში იმისათვის, რომ ქვეყნები (განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნები, სადაც ეკონომიკური პრობლემები ბევრად უფრო დიდი მასშტაბის იქნება, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში) გარკვეულწილად მომზადებული დახვდნენ ახალ რეალობას პოსტკორონავირუსის პერიოდში? გამარჯვებულები გამოვლენ ის ქვეყნები, რომელთა მთავრობები იქნებიან ეფექტიანები, ეფექტურები, საზრიანები, კარგად მოახდენენ ადაპტირებას ახალ რეალობასთან და დაინახავენ ამ კრიზისს, როგორც შესაძლებლობას, გახდნენ უფრო

ძლიერი მოთამაშეები; ასევე ის ქვეყნები, რომლებიც შეძლებენ იფიქრონ არსებულ ჩარჩოებს მიღმა და კრეატიულად მიუდგნენ გამოწვევებს. განვითარებადი ქვეყნების დავალიანება მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაგრამ ამის კიდევ უფრო ნეგატიური მხარე ის არის, რომ ვალი, ინვესტიციების ნაცვლად, სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და კომპანიების გაკოტრების თავიდან ასაცილებლად ერთჯერადად დაიხარჯება. ხაზგასასმელია, რომ ეს ქმედება ნამდვილად უნდა განახორციელონ განვითარებადმა ქვეყნებმა, რათა გადაარჩინონ მცირე და საშუალო ბიზნესები, ტურისტული და ვაჭრობის სექტორები და აირიდონ მძიმე სოციალური პრობლემები.“⁴¹

„დღეს, როცა საქართველოში COVID-19-ის გავრცელების აქტუალურ ფაზაშია, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. სავარაუდოა, რომ ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე: მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. ამ ეტაპისთვის მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება; შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორც მაგალითად საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს

⁴¹ <https://forbes.ge/news/8192/Coronaekonomika> CORONA ეკონომიკა. 6 აპრილი 2020. გადამოწმებულია 23.01.2021

შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება.“⁴²

ცხრილში წარმოდგენილია იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც COVID-19-ის პირობებში მიმართეს სხვადასხვა ქვეყნებმა საინვესტიციო პროცესების სტიმულირებისათვის:

ქვეყანა	მიღების თარიღი	შინაარსი
ევროკომისია	3 მარტი 2020 წ.	სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთ თანამშრომლობით მიღებულ იქნა ინიციატივა ინოვაციური წამლების წარმოებაზე, რომლის თანახმადც დაფინანსდება ინოვაციური კვლევა. ინიციატივა ითვალისწინებს დაფინანსებას 45 მლნ ევროს ოდენობით, რაც განავითარებს ფარმაცევტულ მრეწველობას.
	6 მარტი 2020 წ.	ევროკომისიამ განაცხადა, რომ სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთ თანამშრომლობით ჩამოყალიბდება 140 მილიონი ევროს მოცულობის ფონდი COVID-19 წინააღმდეგ სამეცნიერო კვლევებისათვის.
	16 მარტი 2020 წ.	ევროკომისიამ განაცხადა, რომ კომპანია CureVas გაუწევს 80 მილიონი ევროს ფინანსურ დახმარებას ქალაქ ტუბინგენში (გერმანია), რომელიც ინოვაციური მეთოდებით მუშაობს ვაქცინაზე.
ჩეხეთის რესპუბლიკა	23 მარტი 2020 წ.	მთავრობამ დაამტკიცა საინვესტიციო სუბსიდიების პროგრამა 500 მილიონი ჩეხური კრონის მოცულობით, სამედიცინო ნაწარმის და ფარმაცევტული პრეპარატების საწარმოებლად.
კორეის რესპუბლიკა	9 აპრილი 2020 წ.	სახელმწიფომ განაცხადა, რომ მხარს დაუჭირებს იმ კომპანიებს, რომლებიც COVID-19 საწინააღმდეგო პრეპარატს ან ვაქცინას შეიმუშავენ.
კანადა	6 აპრილი 2020 წ.	განაცხადა პროფესიული მომზადების პროგრამის 100%-იანი დაფინანსების შესახებ შემდეგი მიმართულებით: ჯანდაცვის თანამედროვე მიღწევები, ორგანიზაციული კომუნიკაცია, ციფრული ტექნოლოგიები. პროგრამის ღირებულება 100 000 კანადური \$.

⁴² https://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. გადამოწმებულია 22.01.2021

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა	9 მარტი 2020 წ.	რეფორმების განვითარების სახელმწიფო კომისიამ და ვაჭრობის სამინისტრომ გადახედეს ეკონომიკის იმ დარგებს, რომლებიც წახალისებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და დააწესეს რიგი შეღავათები
ეგვიპტე	17 მარტი 2020 წ.	პანდემიიდან გამომდინარე ხელისუფლებამ 20%-ით გააიფა ბუნებრივი გაზის ღირებულება სამრეწველო გამოყენებით, ხოლო 10%-ით გააიფა ელექტროენერჯის ღირებულება მძიმე მრეწველობის საწარმოებისათვის

„კოვიდ-19-ის ეკონომიკური შედეგების შესარბილებლად საქართველომ არა ერთი ნაბიჯი გადადგა, მათ შორისაა საბანკო რეგულაციებისა და გადასახადების აკრეფის შერბილება, სოციალური პაკეტების გაფართოება, კარანტინის გამო შეჩერებული ბიზნეს-საქმიანობის ფრთხილი გახსნა და შიდა ტურიზმის წახალისება. გაჯანსაღების შენარჩუნება შესაძლებელია ზოგიერთი საგადასახადო და სავალო შეღავათების გახანგრძლივებით, კერძო სექტორის განვითარების ხელშეწყობით და ჯანდაცვის ინსტიტუტების გაძლიერებით შესაძლო მეორე ტალღის დასახვედრად. კოვიდ-19-ის შესაკავებლად გატარებულმა შეზღუდვებმა კერძო ინვესტიციები 1.9%-ით შეამცირა. საჯარო მოხმარების მცირედი, 0.9%, ხოლო სახელმწიფო ინვესტიციების 0.8%-ით კლება შეინიშნა.“⁴³

ინვესტიციები სამედიცინო გამოგონებებში-2020 წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრენდია. შვეიცარიულმა ბიოტექნოლოგიურმა კომპანია Memo Therapeutics AG 2020 წლის ნოემბერში მოიზიდა 13,9 მილიონი ევროს ინვესტიცია კომპანია Bernina BioInvest, ფონდებისაგან Schroder Adveq, Jaquet Partners და სხვა ინვესტორებისაგან. კომპანია ფოკუსირებულია იმ ანტისხეულების შექმნაზე, რომლებიც COVID-19 წინააღმდეგ იმუშავებენ. კომპანიის კვლევის შედეგი ბაზარზე 2021 წელს გამოჩნდება.

„პანდემიამ კომპანიები შეიძლება აიძულოს, შეცვალონ თავიანთი უცხოური ოპერაციების გეოგრაფია. მულტინაციონალურ კომპანიებს შეუძლიათ მეტად

⁴³ <https://www.adb.org/ka/news/adb-maintains-georgias-growth-outlook-2021> Asian Development Bank-ანგარიში. გადამოწმებულია 24.01.2021

იზრუნონ, რომ თავი დაიცვან მიწოდების ქსელის დარღვევებისგან; კორონავირუსის პანდემიის გამო წარმოშობილმა შეფერხებებმა შეიძლება აიძულოს ზოგიერთ მულტინაციონალური კომპანია, გადახედონ თავიანთი საქმიანობის გეოგრაფიულ და დარგობრივ არეალს და შეამცირონ მათი მიწოდების ქსელები და მიმწოდებლებსა და კლიენტებს შორის მანძილი. ისინი შესაძლოა შეეცადონ გეოგრაფიულ დივერსიფიკაციას, რათა შემცირდეს მდებარეობის სპეციფიკური შოკები, ან შეამცირონ ხარჯები, რათა უკეთესად გაუმკლავდნენ კრიზისებს. ასეთმა ძვრებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ქვეყნების ეკონომიკურ პერსპექტივებზე. კრიზისის წინაშე მდგარი კიდევ ერთი ფაქტორი ციფრული ტექნოლოგიების უფრო ინტენსიური გამოყენებაა, რომელიც დაკავშირებულია პანდემიის დროს მიღებულ გამოცდილებასთან. შოკისგან იზოლირების მიზნით, კომპანიებმა შეიძლება უფრო ინტენსიურად გამოიყენონ ელექტრონული გადაწყვეტილებები, შეამცირონ დამოკიდებულება უძრავ აქტივებსა და გრძელვადიან კონტრაქტებზე. პირდაპირი ზემოქმედების მიღმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაფინანსებას ასევე შეუძლია პოტენციურად მნიშვნელოვანი არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე.“⁴⁴

COVID-19 ფონზე ოქრო იქცა ყველაზე დაცულ აქტივად ინვესტორებისათვის, მოთხოვნა მასზე მკვეთრად გაიზარდა, 2020 წლის ივლისში მისმა ფასმა ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და Comex ბირჟაზე 1 უნცია 2 000 \$ ღირდა. უმსხვილესი ამერიკული ბანკის Bank of America ანალიტიკოსები თვლიან, რომ ოქროს პოტენციული ჯერ კიდევ ამოწურული არაა და რომ 2021 წელს მისი ღირებულება

⁴⁴ <http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=pers&leng=ge&adgi=1063&title=Covid-19-%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94> პ.გუგუშვილი სახ. ეკონომიკის ინსტ.სამეცნიერო შრომების კრებული. Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე. გადამოწმებულია 24.01.2021

ბირჟაზე 1 უნცია 3 000 \$ იქნება. რა დააგდებს ოქროს ფასს? მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკის სწრაფი აღდგენა, რაც მსოფლიო პანდემიის ფონზე რთული იქნება.

„COVID-19 ფონზე ინვესტორები აკეთებენ შედარებით მცირე პროექტებს, მხოლოდ უფრო ძვირად. განსაკუთრებით თავს კარგად გრძნობს ვენჩურული (სარისკო) ბიზნესი, რომელიც ახალ ტექნოლოგიებს უკავშირდება. არსებობს მსოფლიო ვენჩურული ბაზრის კვლევები, რომლის თანახმადაც სხვადასხვა საინვესტიციო პორტფელებში ჩალაგებული ვენჩურული ბიზნესის აქციების 52%-მა მოიგო პანდემიისაგან, ან საერთოდ არ დაზარალდა, 38%-ს შეექმნა პრობლემები და მხოლოდ 10%-ს სერიოზული სირთულეები. კვლევა ჩატარებულ იქნა სტენფორდის, ჰარვარდის, ჩიკაგოს, ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტების ბიზნეს სკოლის პროფესორების მიერ, რომლებმაც გამოკითხეს 1000 ინვესტორი, რომელთა მართვის ქვეშაცაა 340 მილიარდი \$-ის ღირებულების აქტივები.“⁴⁵

⁴⁵ <https://corpgov.law.harvard.edu/2020/09/01/venture-capitalists-and-covid-19/?fbclid=IwAR0NZcR61lxKNJX0MsY0uQ84o8ILbdETOlCr97ceVd-N5igAuerhXibKTNO>

დასკვნები:

საინვესტიციო პროცესი არის სისტემის იმ მრავალგვარი ობიექტური ნიშან-თვისებების, სახსრებისა და შესაძლებლობების ერთობლიობა, რომლებიც განაპირობებენ პოტენციურ გადახდისუნარიან მოთხოვნას ინვესტიციებზე. ქვეყნის, რეგონის, და დარგის საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო მიმზიდველობისა და საინვესტიციო აქტივობის ერთობლიობა შეადგენს. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.

კვლევის ძირითად შედეგად ვაჩვენებთ მას, რომ მიმზიდველია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც არ იწვევენ შიდა მოხმარების შემცირებას, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუარესებას და სახელმწიფო ვალის ზრდას;

მიღებული შედეგის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს საკვლევი თემის აქტუალობა, რადგან საქართველოს ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში აქვს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებსიღრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო.

- ერთის მხრივ რესურსული პოტენციალის დეფიციტის პირობებში არსებობს ინვესტიციების დიდი საჭიროება, მეორეს მხრივ, კი არ ხდება ინვესტიციების უფრო ეფექტიანად გამოყენება, ინფლაციის ტემპის, ინვესტიციების და გენერირებული შემოსავლების სიდიდის, ნაკლებ სიღრმისეული პროგნოზირების და ა.შ. მიზეზთა გამო;
- ე.წ. განვითარებადი ქვეყნებში, რომელთა რიცხვსაც საქართველოც მიეკუთვნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სასიცოცხლო

მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ისინი მზად არიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოყენებული მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილონ;

- მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით ქვეყნის საინვესტიციო მომხიბვლელობას და ინვესტიციების ოდენობის ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აღსანიშნავია: კერძო საკუთრების დაცვა, სამთავრობო ჩარევის შემცირება და კაპიტალის შემოდინებისათვის ბარიერების მოხსნა. ეს უკანასკნელი შესაძლოა საფრთხის მატარებელი იყოს განვითარებადი ქვეყნისათვის, ვგულისხმობთ „ნებისმიერი კაპიტალის“ მოზიდვას, ამას შეგვიძლია ინვესტიციური სიხარბის კლასიფიკაცია მივცეთ რამაც მომავალში, შესაძლოა, უფრო მეტ ნეგატივთან მიგვიყვანოს, ვიდრე პოზიტივთან;
- ახალი თანამედროვე საერთაშორისო დონის წარმოების დასაწყებად ინვესტიციების მოზიდვაზე ყურადღების გამახვილებით საქართველომ უნდა შეძლოს პრაქტიკული სტრატეგიების შერწყმა და უცხოური კაპიტალის დახმარებით ადგილობრივი ბაზრების აღორძინება-განვითარება;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება სტიმულს აძლევს ინვესტორებს, აგრეთვე ხელს უწყობს საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჩამოყალიბებულ კონკურენციას, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ფასების დაწევას და პროდუქტის ხარისხის ამაღლებას.
- მთავარ ფაქტორებს, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ საინვესტიციო პროცესზე განეკუთვნებიან: პოლიტიკური განუსაზღვრელობა, მაკროეკონომიკური არასტაბილურობა, გადასახადები, სამართლებრივი რეგულირება, კორუფცია და ა.შ.
- საჭიროა ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესება და შიდა ინვესტიციური შესაძლებლობების განვითარება;
- აუცილებელია სახელმწიფოს საინვესტიციო აქტივობის გაზრდა და ინვესტიციების დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა;

- აუცილებელია რეგიონებში განვავითაროთ საინვესტიციო პოლიტიკა და კულტურა, რასაც პოზიტიური მუხტის შეტანა შეუძლია საინვესტიციო საქმიანობის განვითარებაში;
- განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა უნდა მიექცეს კაპიტალის ბაზრის განვითარებას;
- საქართველოში არ უნდა შეჩერდეს რეფორმები საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, გარდა COVID-19 გამოწვეული სირთულეებისა;
- უნდა გაუმჯობესდეს მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას საინვესტიციო რესურსებზე;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყოფილი საწარმოო ტერიტორიები-ბარუნფილდები თბილისში. კვლევის და ანგარიშის ავტორი ჯონ ბეროუზი. 2017. გვ.11 გადამოწმებულია 24.11.2020

ინტერნეტრესურსები:

1. https://www.tsu.ge/data/file_db/library/Disertacia%20-%20Charaia.pdf პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის (საქართველოს მაგალითზე). ვახტანგ ჭარაია. დისერტაცია. გვ.10. გადამოწმებულია 10.11.2020

2. <https://openscience.ge/bitstream/1/4/3/B-%20e1%83%93%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%94%e1%83%a0%e1%83%a2%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%90-%e1%83%a8%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%90-%e1%83%a5%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%93%e1%83%90%e1%83%ab%e1%83%94.pdf>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოტივაციები და მათი გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. შორენა ქურდაძე. დისერტაცია. გვ.64. გადამოწმებულია 13.11.2020

3. <https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%94%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90+%E1%83%93%E1%83%90+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98+%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E>

[1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98.pdf/a172d6b4-5ed8-3393-3ac3-668d9dc212d6?version=1.0&t=1595405432254](https://www.fund.ge/who-we-are)

COVID-19 ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. კონრად ადენაუერის ფონდის კვლევა. გვ.7. გადამოწმებულია 15.11.2020

4. <https://openscience.ge/bitstream/1/629/1/samagistro%20barbaqadze%20viqtorija.pdf>
ინვესტიციების როლი ეკონომიკის განვითარებაში. ვიქტორია ბარბაქაძე. დისერტაცია. გვ.27. გადამოწმებულია 17.12.2020
5. <https://forbes.ge/blog/695/Amendment-in-the-Tax-Law-of-Georgia-according-to-which-selling-4-apartments-by-individuals-is-not-explicitly-exempted-from-VAT-anymore> საჯარო ფინანსების კერძო პროექტებში ინვესტირების ხიბლი საქართველოში. ირაკლი ლაითაძე. 13.01.2021. გადამოწმებულია 18.01.2021
6. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/275290/1/Ekonomika_2012_N11-12.pdf
უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფორმების ზეგავლენა რეციპიენტი ქვეყნის ბიზნესის განვითარებაზე. ქრისტინა ჯანჯღავა. ეკონომიკა-ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი. #11-12. 2012. გვ.6 გადამოწმებულია 21.11.2020
7. <https://bm.ge/ka/article/sainvesticio-fondebis-shesaxeb-kanonproeqtis-detalebi-/49261>
საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონპროექტის დეტალები. 19.02.2020. გადამოწმებულია 17.12.2020
8. <https://businessfeed.ge/sainvestitsio-phondebi-saqarthveloshi/> საინვესტიციო ფონდები საქართველოში. გადამოწმებულია 24.22.2020
9. <https://www.fund.ge/who-we-are> საპარტნიორო ფონდი. გადამოწმებულია 18.01.2021
10. <http://gcfund.ge/ka/527/overview> საქართველოს თანაინვესტირების ფონდი. გადამოწმებულია 20.01.2021
11. <https://forbes.ge/news/7659/sainvesticio-klimati-rogorc-infrastruqturis-nawili>
საინვესტიციო კლიმატი, როგორც ინფრასტრუქტურის ნაწილი სწრაფი

ეკონომიკური განვითარებისათვის. რევაზ ვაშაკიძე, ავთანდილ გოგოლი. 22 იანვარი 2020 წ. გადამოწმებულია 11.01.2021


12. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_8343_1.pdf უცხოური ინვესტიციები და შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია საქართველოში. დისერტაცია. ირაკლი მესხი. 2017. გვ.99. გადამოწმებულია 22.12.2020
13. <https://www.amerikiskhma.com/a/investment-climate-statements-georgia/5580154.html> საინვესტიციო გარემო საქართველოში-აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში. გადამოწმებულია 19.01.2021
14. საქსტატი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi> გადამოწმებულია 18.01.2021
15. https://eprc.ge/uploads/brosh/COVID_fin-geo.pdf COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსათვის. გადამოწმებულია 22.01.2021
16. <https://www.adb.org/ka/news/adb-maintains-georgias-growth-outlook-2021> Azian Development Bank-ანგარიში. გადამოწმებულია 24.01.2021
17. <http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&cat=pers&leng=ge&adgi=1063&title=Covid-19-%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%20%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94> კ.გუგუშვილი სახ. ეკონომიკის ინსტ.სამეცნიერო შრომების კრებული. Covid-19-ის გავლენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკაზე. ლია თოთლაძე, მამუკა ხუსკივაძე. გადამოწმებულია 24.01.2021

18. <https://corpgov.law.harvard.edu/2020/09/01/venture-capitalists-and-covid-19/?fbclid=IwAR0NZcR61lxKNJX0MsY0uQ84o8ILbdETOICr97ceVd-N5igAuerhxbKTNO>
Venture Capitalists and COVID-19 გადამოწმებულია 21.01.2021
19. <http://www.economy.ge/?page=ecoreview&s=18>
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
20. https://www.mof.ge/images/File/Georgia-The%20Outlook_GEO_November%202018.pdf
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
21. <https://napr.gov.ge/source/სტრატეგია/ViewFile.pdf>
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020
22. ანაკლიის დრმაწყლოვანი პორტის სამშენებლო სამუშაოები დაიწყო. ჟურნალი „ანაკლია“ #5 დეკემბერი. 2017. გვ. 10 http://anakliadevelopment.com/wp-content/uploads/2018/02/anaklia235x297mm_N5_WEB.pdf გადამოწმებულია 26.04.2019.

დანართები:

კირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში

(მლნ. აშშ დოლარი)



წყარო: საქსტატი

https://www.geostat.ge/media/35305/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2020_III-%28%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%29.pdf

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში
(მლნ. აშშ დოლარი)

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	375.3	470.6	588.0	1 764.7
2008	540.1	607.7	136.1	291.3	1 575.2
2009	114.5	178.3	179.1	194.9	666.8
2010	176.1	211.5	236.8	241.2	865.6
2011	222.6	273.1	309.1	329.2	1 134.0
2012	312.4	248.0	220.5	267.3	1 048.2
2013	291.8	224.1	271.6	251.6	1 039.2
2014	331.9	217.6	749.5	538.0	1 837.0
2015	343.4	493.2	531.1	361.0	1 728.8
2016	392.6	452.4	507.4	300.2	1 652.6
2017	413.2	395.7	634.8	534.6	1 978.3
2018	328.6	406.1	365.4	206.2	1 306.3
2019	313.7	236.6	396.0	364.5	1 310.8
2020*	174.7	241.6	302.6		719.0

წყარო: საქსტატი

https://www.geostat.ge/media/35305/%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2020_III-%E2%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%29.pdf